


619  
1967



**ՆՄՈՒՆ**  
№ 4 ՆՅՆՈՒՆ 1967



ლენინი რაზლოვში.



ღინოგრაფიურა დ. ნოდიასი და თ. სამსონაძისა.

პროლეტარებო აველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ქართული**

№ 4 (365) აპრილი, 1967 წ.

გამოცემის წელი 42-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხეობრივი ჟურნალი



„საქართველო“

10.369.

ორმოცდაათი წლის წინათ, 1917 წლის 4 (17) აპრილს, ვ. ი. ლენინი გამოვიდა მოხსენებით ომისა და რევოლუციის შესახებ პეტროგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის კრებაზე. ეს იყო ვ. ი. ლენინის „პარილის თეზისები“, რომელშიც მან მოგვცა არა მარტო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მეცნიერული ანალიზი, არამედ წამოაყენა ახალი გეგმა რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე მშვიდობიანი გადასვლის შესახებ. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება რუსეთში წარმოადგენდა იმპერიალისტური ომის საშოკაქლო ომად გადაქცევისა და ამ ომში საკუთარი ქვეყნის მთავრობის დამარცხების ლენინური ლოზუნგების გამარჯვების პირველ სერიოზულ შედეგს. მაგრამ, როგორც ლენინი ხატავანად ამბობდა, „მონადირემ კურდღელი მოკლა და ეშმაკი კატა კი ნანადირევს ეპარებოდა“. მუშათა კლასმა და ფარაჯაში გადაცმულმა გლეხობამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რევოლუცია მოახდინა, ხოლო ბურჟუაზია ხელისუფლებას ეპატრონებოდა.

ყოფილი IV სახელმწიფო სათათბიროს ბურჟუაზიულმა ბლოკმა შექმნა დროებითი კომიტეტი. რევოლუციით დამფრთხალი ბურჟუაზია ცდილობდა თავისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის გამოეყენებინა, ერთი მხრივ, ტახტიდან გადმოგდებული შიშის შვილი და მისი ბიძა და, მეორე მხრივ, მენშევიკურ-ესერული საბჭოების ლიდერები, რათა მოეტყუებინა ხალხთა ფართო მასები და შეეჩერებინა მზარდი რევოლუციური მოძრაობა. მაგრამ იგი ერთხანს ვერ ბედავდა ხელისუფლების აღებას. „ჩვენ აღზრდილი ვიყავით იმისათვის, — წერდა ცნობილი რეპუბლიკური შულგინი, — რომ ხელისუფლების ფრთხილად გვექო ან გავგვიცხა ეს ხელისუფლება... უკიდურეს შემთხვევაში... უმტიყენელოდ გადავსხდარიყავით დემუტატების სავარძლებიდან მინისტრთა სკამებზე... იმ პირობით თუ საიმპერატორს უარაუღო და გვიცავდა... მაგრამ ამ ზეგვის (რევოლუციის — ვ. ს.) უძირო უფსკრულს წინაშე ჩვენ თავბრუ გვეხვეოდა („რუსსკაია მისლი“, № XII, 1921 წ. გვ. 88). რევოლუციის განვითარებით არა ნაკლებ იყვნენ შეშინებული მენშევიკებისა და ესერების ლიდერები. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ბურჟუაზიას აეღო ხელისუფლება და შეეჩერებინათ რევოლუცია. „საკითხის არსი იმაშია, — წერდა მენშევიკების ლიდერი სუხანოვი, — რომ მოქსურვებს თუ არა რუსეთის ცენტრიანი ბურჟუაზია აიღოს ხელისუფლება ასეთ პირობებში... ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვაიშულოთ იგი მიიღოს ხელისუფლება“ (სუხანოვი, ნაწერები, 1922 წ. გვ. 184).

1917 წლის 28 თებერვალს (ძვ. სტ.) დამით დაიწყო მოლაპარაკება ბურჟუაზიული ბლოკის წარმომადგენლებსა და მენშევიკურ-ესერული საბჭოების მესვეურებს შორის. იმ დამეს IV სათათბიროს კომიტეტმა გამოაცხადა ხელისუფლების ხელში აღება, მაგრამ მისი მთავრობის ფუნქციები ერთხანს მოჩვენებითი ხასიათს ატარებდა, ვინაიდან რევოლუციური მოძრაობა ეღვის სისწრაფით ვითარდებოდა. 28 თებერვალს (18 მარტს) მუშათა დემუტატების საბჭოები შეიქმნა მოსკოვში, სამარაში, სარატოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სორმოვოში, ტვერში და, ცოტა უფრო გვიან, ბაქოა და თბილისში. ფრონტებიდან ზედინედ მოდიოდა ცნობები მეფის არმიის ოფიცრების გადაყენებისა და გერმანულ ჯარისკაცებთან დამოხილვის შესახებ.



პეტროგრადის წითელი გვარდია, 1917 წლის 1 მაისი.

ასეთ რთულ ვითარებაში სათათბიროს ბურჟუაზიული ბლოკის დროებით ბურჟუაზიულ მთავრობად გადაქცევა და მისთვის ნდობის გამოცხადება მხოლოდ მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებულ პარტიებსა და მათ ლიდერებს შეეძლოთ, რომლებიც პეტროგრადის საბჭოებში უმრავლესობას შეადგენდნენ. ამიტომ 14 მარტს, ღამით, ბურჟუაზიის დროებითა კომიტეტმა მიიწვია თავის სხდომაზე პეტროგრადის საბჭოების მენშევიკურ-ესერული ხელმძღვანელები: მენშევიკებიდან ნ. ჩხეიძე, ნ. სუხანოვი, ესერებიდან — კერენსკი და ფილიპოვსკი; ამ მოლაპარაკების შემდეგ, იმდამითვე, პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მენშევიკებისა და ესერების ლიდერების მოთხოვნით დაადგინა — ბურჟუაზიისათვის მიეწოდებოდა ახალი მთავრობის შედგენა. ეს მოლაპარაკება იმით დამთავრდა, რომ 1917 წლის 14 მარტს სათათბიროს კომიტეტმა შეადგინა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, ხოლო, მენშევიკურ-ესერულმა საბჭოებმა აღიარეს იგი ერთადერთი კანონიერი ხელისუფლებად. დროებითი მთავრობა შეეცადა ცარიზმის აღდგენას და მის კონსტიტუციურ კალაპოტში ჩაყენებას, ნიკოლოზის ნაცვლად ტახტზე მისი შვილის დასმას და რეგენტად მიხეილის დანიშვნას („ერთი ავადმყოფი იყო, მეორე — სულელი“), იმპერიალისტური ომის გაგრძელებას და გამარჯვებით დაგვირგვინებას. მენშევიკებისა და ესერების ლიდერები ამ დათმობაზეც წავიდოდნენ, მაგრამ რევოლუციურმა მოძრაობამ აიძულა ისინი უარი ეთქვათ ცარიზმის აღდგენაზე. ასე შეიქმნა ორხელისუფლებიანი მთავრობა: მუშათა დემუტატული მთავრობა გ. ვ. ლევოს თავმჯდომარეობით; მთავრობაში შეყვანილი იქნა პეტროგრადის მენშევიკურ-ესერული საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი — ესერი კერენსკი.

მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოებში მენშევიკებისა და ესერების უმრავლესობის გაბატონება და საბჭოების პარალელურად დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის შექმნა — ორხელისუფლებიანობა, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, განაპირობა შემდეგმა ძირითადმა მიზეზებმა: პირველი მსოფლიო ომის პირველ წლებში პეტერბურგის რევოლუციური მუშების ფრონტზე იყვნენ გაწვეული, ხოლო მათი ადგილი საწარმოებში დაიკირეს სოფლებიდან ჩამოსულმა გლეხებმა, რომელთაც თან მოიტანეს წვრილბურჟუაზიული ხელისკვეთება, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა მენშევიკურ-ესერულ კოალიტივის გავლენისათვის; მეორე — ბოლშევიკების ხელმძღვანელ მუშათა დიდი ნაწილი ან ფრონტზე იქნა გაწვეული ან ციხეებში იყო გადასახლებული, ხოლო ვ. ი. ლენინი ემიგრაციაში იმყოფებოდა; მესამე — მენშევიკებისა და ესერების ლიდერები, როგორც შოვინისტები და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მოვალეები თავისუფლად დასერიანდნენ პეტერში; მეოთხე — მაშინ, როდესაც მუშები და რევოლუციური ჯარის ნაწილები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ცარიზმზე გამარჯვებისათვის ქუჩებში გზირულად იბრძოდნენ — მენშევიკებისა და ესერების ლიდერები საბჭოებში ხელმძღვანელ ადგილებს იკერდნენ და ბურჟუაზიასთან შეთანხმების საქმეს აგვირბდნენ; და ბოლოს, რევოლუციის გამარჯვების წარმატებით გაბრუნებული წვრილბურჟუაზიული მასა და მის გავლენაში მყოფი მუშების გარკვეული ნაწილი ბურჟუაზიისა და მენშევიკურ-ესერული პარტიების ლიდერთა მიერ მოტყუებულნი აღმოჩნდნენ და მათ შეცდომით ნდობას უცხადებდნენ. ორხელისუფლებიანობის რთულ ვითარებაში სწრაფად ვარკვევა, მზრომელთა მილიონიანი მასების დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და მენშევიკურ-ესერული შემთანხმებულური პარტიების გავლენისაგან განთავისუფლება, რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლისათვის ახალი საშოქმედო გეზის დასახვა, ამ დიადი მიზნის განხორციელებისათვის სტრატე-





დარბაზში ისევ სმაურობდნენ.

— ჩვენ ფრიდონა გვიანდა, სხვა არავინ!

— ძლივს კალამოტში ჩადგა კოლექტივი და...

— ისევ ჩაოსრდება აწყობილი საქმე!

— ეგ ვაგო ვერ გვითავაყავს!

— ჭერ ტუჩებზე დიდის რძე არ შეშრობია და აშხელა კოლექტივის როგორ გაუძღვება!

— ჭკუაში ჩასაქლომი არ არის თქვენი ქართული!

— რაზე გვლუპავ, გაბრიელი!

— ჩვენებური კაცი მაინც არ იყო!

აღარ ჩუმდებოდა ლაგამაწყვეტილი კრებული.

— მოიცათ, ხალხო, რა დაგემართათ, პირველად ხომ არა ხართ კრებაზე! ან თქმის ჭერი არ იცით, ან გაგონებთ?! — ყელფრთხილად და იჭაჭებოდა კრების თავმჯდომარე.

გაბრიელს სახეზე აღმური ასდიოდა. რაიონის თავკაცთაგანს რამდენი კრება ჩაუტარებია, უფრო ძნელად გასატანი ლელო გაუტანია, მაგრამ ასე არ-სად გასჭირებია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე არც ავად იღებდა სმასა და არც კარგად. არ აშხელდა, მაგრამ სიამოვნებდა: სოფლის გული თურმე ისე გაუთბია, რომ დათმობა ეძნელებოდა. ქაბატოც პრეზიდენტი იქნა. გამგეობის წევრი იყო და უი-მისობა არ იქნებოდა, არც ის სძრავდა ენას; მაგრამ ეტყობოდა რაღაც აწუხებდა, დაკომილი შუბლით გადასცქეროდა კრებულს. დარბაზი კი ისევ ყაყაუნებდა.

გაბრიელმა იფიქრა: წამოვდგები, დავენახებები და სმაური მიწვევებო; თქმაცა სცადა, მაგრამ მისმა სმამ დარბაზის ყურამდე გზა ვერ გაიკვლია. უფრო აიღწეა, მაგრამ ნელა დაეშვა საქმე და ისევ ნაძა-ლადგვი ღიმილით გადახედა თანასოფელელებს.

პრეზიდენტი მსხდომთ იუხერხულს, დარბაზში მყოფებმა კი არა.

— არ გესმით, ხალხო, ბოლოს და ბოლოს, შეგ-ნების საქითა, რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეა, რიგინად მოისმინეთ, იქნებ რას გეუბნებოთ, თავს ნუ გუჭრით! — სმამაღლა გაყვიროდა კრების მეთაური.

ხალხმა ყურად არ იღო მისი ნათქვამი.

— ესე როგორ შეიძლება, ამხანაგებო! მართლა პირველად ხომ არა ხართ კრებაზე. დაყოლიებასაც და დაუარებასაც თავისი წესი აქვს და რიგი. ჭერ გვათქმევინეთ სათქმელი და მერე ილაპარაკეთ! — სმამაღლა იძახოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სმაურმა იკლო, თანდათან მიწედა, მიჩუმდა. გაბრიელი ხალხს რჩევით მიმართავდა.

— თქვენი ნებაა, ისე კი არ გამოგოთ, თითქოს ძალას გატანდით. ჩვენ მხოლოდ რჩევა შეგვიძლიან. ცუდს არ მოვიწადინებთ. ჩვენი აზრით, აჯობებს, რომ ამხანაგი ფრიდონ შარმანაშვილი წავიყვანოთ. იქ უფრო საჭიროა ხალხისათვის, პარტიისათვის. ვაწინაურებთ, ამ სოფლის შვილია და უნდა გინა-როდეთ, უნდა გესახელებოდეთ, თქვენ კი... ეს ქა-ლიშვილიც მუშაობით შემოწმებულია, ყოჩად გო-გონაა, მალე დაამთავრებს აგრონომიულსა. მთელი რაიონი სცნობს თავის კომპაზიტირულ ბრიგადას, აგერ ახლაც ჭილღოვრა წაყენებული, არაფერი გა-უჭირდება. ჩვენც არ მოვაკლებთ დახმარებას, თქვენც მხარში ამოუდგებით... ახალგაზრდები უნ-და დაეწინაურეთ. არ გეგონათ, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო. აგერ, ორი წლის წინათ, გომის კო-ლმეურნეობაშიც ასეთი ყაჩაღანა ქალიშვილი ავარ-ჩიეთ თავმჯდომარედ და მშვენივრად ააწყო საქმე. როცა ადამიანი მონღოლმეულია, არაფერი გაუჭირ-დება. ეგრე სჯობია, დამიჭრეთ.

დარბაზი ისევ არჩქოლოდა. სხვა დროს გასუსუ-ლები მსხდარან, წინადადება შეუთავაზებიათ, მოს-წონებიათ, თავი დაუქნევიათ, ჭკუაში არ დასჭდო-მიათ — ეგეც უთქვამთ, ოღონდაც თავისი წესით. ახლა კი რამ ააყაყანა ქალიც და კაციც!

— არ ეშობებოთ კიი ხელმძღვანელი ჩვენთვისა, არა!

— მშვენივრად ააწყო საქმე და...

— ძაღლის თავი სხვანაირი მარხია!

## გიორგი სირგუაშვილი

მოთხრობა



— შენ თუ ისეთი არაფერი თქვი, მუცელს დაგ-ვკრებს, მაინც ხალა მარხია?

— ხალა და მაგ გაბრიელის მამა რომ მურიან მიღწე გააძვრინა ჩვენმა ფრიდონმა, ის ვერ მოუ-ნელდება!

— შენცა თქვი, რაღა! აწინაურებენ, ხომ არ აქვიითებენ!

ზოგი ასე ტუტუნებდა, ზოგი ისე.

კრების თავმჯდომარემ დაატყო, რომ ვერაფერს გახდებოდა ლაგამაწყვეტილი დარბაზის წინაშე და ხელი მიუშვა. რაიონსკომის თავმჯდომარეს შეს-ცქეროდა შუბლმტერხული. გაბრიელი კი გულადღე-ვებული იქნა, ბოლოს მოთმინების ფილა აივსო, უცერად წამოსტა და:

— რა გაყაყანებო, რაშია საქმე! — ერთბაშად ამოაფრქვია გულში ნატრიალები.

აურსაურმა იკლო.

— როგორ იქცევით, რასა ჰგავს ეს? დარბაზი თანდათან მიწყნარდა.

— რამდენი უნდა მახვეწნოთ და მალოლია-ვოთ. ისე გამოდის, რომ თქვენ იცით და ჩვენ აღა-რა. უქკუოს რას გეუბნებით. ნებაზე რომ მიგო-შვით, განა თავზე უნდა დაგვაქდეთ... რაიკომის ბიუროს აზრი ასეთია. ითქვა და გათავებულა.

— თუ ეგრეა, რაღას გვაწვალდებთ, შვილონან! — მაინც ჩაიბუტბუტა ერთმა. ეგონა ჩემს ნათქვამს მადლა მსხდომნი ვერ გაიგებნო, მაგრამ გატყრნილ დარბაზში თითქმის ყველას ყურამდე მიადწია.

— რომელია, რომ მაინც თავისას არ იშლის! — ისევ გაბრაზებით გადახედა გაბრიელმა.

ყველანი გაიხუსნენ.

— ადგის ფეხზე, ვინც წამოიძახა! მთქმელი მუჭაში დასაჭერი-ლა იქდა.

— ვინ იყო-მთქმელი!

ვინ გაბედავდა თქმას.

— აქაური კაცი ვარ და ყველას გიცნობთ. მე ვცდი, ნამდვილი პატიოსანი ამხანაგები ხმას არ იღებენ. წელანგარა და ენატარტარა ადამიანები ურევან აქაურობას. აბა, ფეხზე წამოადგეს, რომელი უარობს, თუ წინააღმდეგია თქვას, მხოლოდ დასა-ბუთოს კიდევ! ჩვენ დეზორგანიზატორების წამა-ლიც ვიცით!

აქა-იქ გაიხმა ბურტყუნა.

ზეზე მდგომმა ახალგაზრდამ რაღაცა გაიხუმრა.

— რომელია მანდა, რომ აყუდებულა უშნოდა, თვითონაც იღრიკება და სხვასაც აციენტებს.

იქაც ჩაჩუმდნენ.

— სასაცილოდა გაქვს საქმე, კარიკაშვილო?

ახალგაზრდამ ხელი ჩამოუშვა.

— შენი შრომის წიგნაკი რომ გადაშალო, ერთი-მეორეზე ოცდაათი შრომადღე არ გექნება გამოშუ-შავებული. არც ხალხს არგინარ და არც სოფელსა.

კრებაზე დასწრების ღირსად ჩავთვალენ, მოხვედი და ურევ კიდევ აქაურობასა, მოიცა, შენც გამოგე-წირება რეცეპტი!

მთელი კრებული გაინაბა.

რაი დარბაზი დამორჩილა, გაბრიელმა კილო შეიცვალა, ეშინოდა კრების თავმჯდომარე კიდევ არ დაჯანსონო და თვითონვე იქისა მისი მოვალე-ობის შესრულება.

— კენჭს ვუყრი: ვინა ხართ მომხრე, რომ ფრი-დონ შარმანაშვილი განთავისუფლდეს კოლმეურნე-ობის თავმჯდომარეობიდან! — ხარბად მიმოავლო შურა იქაურობას.

დარბაზმა იტვინა.

— ჰა, ვინა ხართ მომხრე?!

ისევ განახულიყვნენ.

— წინააღმდეგი ვინა ხართ?!

არც ხელი დაუძრა და არც ენა.

— წამოდექით, ნუ გვირდებით, ან ასე თქვით, ან ისე! — თითქმის ეხვეწებოდა კრების გაბრიელი. კიდევ ვერაფერს გაბედა.

— ამხანაგებო, მე ბოდიშს ვისდი, სხვანაირად კი არ გამოგოთ წელანდელი წყრომა. იმათ შემოვუტით, ვინც ურევდა აქაურობას. პატიოსან ხალხზე კი არაფერი მითქვამს, წამოდექით, თქვენი აზრი გა-მთქვით, უმრავლესობა რასაც გადაწყვეტს, ისე მოვიცეთ. ჩემი მოვალეობაა, რჩევა მოცდეთ, თქვენ კი იაზროთ და გადაწყვეტოთ, ვინდა მიიღეთ ეს რჩევა, ვინდა არა. თქვით!

პრეზიდენტი ქაბატო წრიალებდა, რაღაცა აწუ-ხებდა. ხან დარბაზს გადახედავდა, ხან ზეზე მდგომ გაბრიელს.

გაბრიელი აშჩნევდა, რომ ქაბატოს სიტყვის თქმა ეწადა, მაგრამ თვალს არ იღებდა.

ქაბატომ ვეღარ გასძლო, რაკი არ შესთავაზეს, თვითონ წამოდგა, ტრიაუნაზე არ ასულა, მაგივის გვერდით დადგა. თავშალი შეისწორა, ცალი ხელი ფრიდონის სკამის თავს დააბჯინა და გაწყრა:

— რამ გავაჩქათ ხალხო! რა კლიტი დაგიდგიათ პირზე, რატო არ იტყვით რამესა ან ამ პატიოსან კაცს რაზე აწვალდებთ, ან თქვენ თავსა. მერე რომ გახვალთ ხოლმე და დადღადანი გაჯაჭვთ: არასა გვეთხვანო, აი ეხლა ამოიღეთ ხმაი! — თვა-ლების ციცებით გადასცქეროდა დარბაზს. არავინ გააბუსებია.

— რა არის მოსარიდალი აქა, ყველანი ერთი ქა-ლაზობა ვართ. გეხვეწებინ: რაც ვინდათ, იხა თქვითო. თავიარს კი არ გამოტყრვენ: ვინდათ, თუ არა ეხე და ორე მოიქცეთო. ამიტომ მოგვიწყვიტ, რომ ჭკუასა გვეთხვან. უჩვენობა რომ შეიძლება-დეს, იქვე გადაწყვეტადნენ ამ ამბავსა. ამოიღეთ ხმა!

არც ახლა დაუძრა კრინტი.



მეუღლის პორტრეტი.



ჩვენს უურნალში არა ერთხელ დაბეჭდილა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ვახტანგ ონიანის ნამუშევრები. მისი სურათები ყოველთვის ახარებენ მნახველს თავისი ორიგინალობითა და სიახლით.

მხატვარს აქვს თავისი სტილი, თავისი ხელწერა, რომელსაც მტკიცედ იცავს ყოველ ნამუშევარში. იქნება ეს პარიზსა და ტოკიოში შესრულებული ჩანახატები. თუ ჩვენს თანამემამულეთა სკულპტურული პორტრეტები.


განსაკუთრებით ახლოა მხატვრისათვის მშობლიური კუთხე — სვანეთი: ის უშუალოდ განიცდის სვანეთის წარსულსა და აწმყოს.

ვახტანგ ონიანის ნამუშევრები არა ერთხელ იყო გამოფენილი რესპუბლიკურ, საკავშირო და უცხოეთის გამოფენებზე. დღესაც მხატვრის ცნობილი ნამუშევარი „კავკასიის დაცვა“ (განზოგადებული პორტრეტი. ქვა) ექსპონირებულია საბჭოთა კავშირის მხატვართა საუკეთესო ნამუშევრების მოძრაგ გამოფენაზე. რომელმაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა შემოიარა.

მხატვარი ვახტანგ ონიანი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა წიგნის მხატვრულ გაფორმებაზე. წელს გამოცემლობა „ნაკადული“ გამოსცემს ვახტანგ ონიანის ფერად ილუსტრირებულ წიგნს „ბეთქილ“ (სვანური ეპოსი). რომელიც თარგმნა და ლიტერატურულად დაამუშავა თვითონ მხატვარმა.

## ვახტანგ ონიანი

სვანი ბიჭი.



ვაჟა-ფშაველა.





ღება.



ქალიშვილები.

მაცვში.

ნადირება.





# ნიმუხი წიგნისა

— წყალბა!  
წყალბაში რაღაცა ჩაბუტბუტა და სახე მოა-  
რიდა.

- მიტრია!
- ვანა!
- გერის ბიჭო!
- ქმარცოცხლო ქვრივო!
- ნუშა!

ყველამ აირიდა სსტქმელი.

— დაგამუნჯათ მამწეციტირმა!  
სოფელი შეჩვეული იყო ქაბატოს ასეთ სიტყვებს  
და არავის სწყენია.

— ჭერ შენა თქვი — დაიძახა ვილაყამ.

— რატომაც არ ვიტყვი — ჩაახველა, — ბოდიში მომიხდია, ჩემო გაბრიელ, — პრეზიდენტი მისაქენ მო-  
ბრუნდა, — შეგნებულნი ბრძანდებით და ავად არ ჩამომართმევ სიტყვას; ჩვენი ვაზრდილი ხარ, შევი-  
ლო, საწყალ ჩემ ქმარსა საყვერის უღელზე ესვი ხოლმე. მამწევი ცოცხალი ბიჭი იყავი. ახლაც მისხა-  
რია, რომ ბევრისგან მესმის შენი სიყოფილი, მაგრამ სიმართლე პირდაპირ უნდა გითხრა: ტყუილად გვიჩქობინებ თქვენს მოსაზრებასა. ხო ატყობ: ეს ხალხი იმიტომ გაგიჟებდა, რომ ჭკუაში არ დაუჭ-  
დათ შენი ნაღაპრები და ვერც უარს გიბედავენ. ჩვენი სოფლის შეილი ხარ და წყენინებას ერიდები-  
ან. ჭერ აგვიყავანდენ, რაკი შეგატყვეს, რომ გა-  
გულისხმი, დადუმება არჩიეს. პირდაპირ თქმაც ვერ შემოუკადრებიათ, თორემ სხვას თუ არა, ან ქიტას რა გააჩერებდა აქამდე ან თებრასა... თუ ჩვენი სი-  
კეთე გინდათ, ფრიდონა არ წაგვართვათ. ჭკვიანი კაცის ყურისგდება უყვარს და სოფელიც უჭერებს. ამიტომ ენანებათ. არც სხვა მიზეზს დაგიმალავთ, უფრო მთავარია. უფრიდონობას შეველოდით, მაგნიარევი კაცს რომ უპირებდეთ სათავეში დაჭ-  
დომასა. ვიცი ლეილას ეწყინება, მაგრამ მაინც უნ-  
და ვთქვა. მაგის გულისათვის ჭიუტობს ეს ხალ-  
ხი. გაუფიქრებელი გატეხილი სჯობია. არ გამოგვადგება ეგ გოგო. მართალია ყოჩაღია, ჩემსავით კი ვრძე-  
ლი ენა აქვს. კრებაზე რომ გამოვა, ყურდაცქვეტი-  
ლები ვუსმენთ ხოლმე. გვიხარია, რომ მთელს რაი-  
ონში იცნობენ, მაგრამ ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ფრიდონას იმედით აკეთებდა ყველაფერსა. ამხელა სოფლის თავაკცობა კი ძანა გაუძნელდება. ახლა ვერა გრძობს სიმძიმესა და მეორე თქმაზე დაგ-  
ყაბულდათ, შერე რომ კისერზე დაწვევა, იქნება ისეთ დღეში ჩავარდეს, რომ თავის ბედიცა წყვე-  
ლოს და ჩვენიცა. რას იტყვით, ხალხო! — გადახე-  
და დარბაზს.

დარბაზი ამოძრავდა. კრების თავმჯდომარე ფეხ-  
ზე წამოადგა. ჭერ აქოქოთებულ კრებულს გადა-  
ხედა, მერე პრეზიდენტს.

— სხვამაც გამოთქვას თავისი მოსაზრება. ერთი კაცი თუ ხომ არა წყდება — თქვა გაბრიელმა.

— კიდევ ვინ რას იტყვის!

ნებართვის გარეშე წამოადგა ერთი.

— აბა, ივანე ხორბალაძეს მოვუხსინოთ! — ნება დართო თავმჯდომარემ.

— მალა ამოდი, ვანა, უფრო ყველას გაგონებ.

— ვისაც გაგება უნდა, აქედანაც კარგად მოის-  
მენს, — ნაბღის ქული ხელში დაჭმუჭუნა ივანემ და  
განაცხა: — არ ვიცი, ვისგან ვაღმოგვედო და  
ერთი უფარვისი წენ გვეჭირს: პირში თქმა არ გვი-  
ყვარს სიმართლისა. თუ რამე არ მოგვწონს, გულ-  
ში ვიტრიალებთ სათქმელსა. არ გეწყინოს, ჩემო  
გაბრიელ და, ჩემმა გონებამ შენი ნათქვამი სიტყვა  
ეგრე გადათარგმნა, გინდათ თუ არა, ხელი აგვიწი-  
ეთ ფრიდონას გათავისუფლებასა და ლეილას არ-  
ჩევსეო. ქაბატო ცამდე მართალია, ერთის წაყვანა  
და მეორის მოყვანა არ არის ჭკუაში დასაჯდომი,  
თუ სოფლის სიკეთე გინდათ, ნუ შეგვიცვლით  
ხელმძღვანელობასა!

კიდევ აჩოქოლდა ხალხი.

სხვაც გამოიყვანე სიტყვაშიო, ჩურჩულით უთხ-  
რა ფერდაკარგულმა გაბრიელმა.

აღარც სხვას დასპირებია ხვეწნა.

სანდრო წამოადგა, დიდხანს ილაპარაკა, ისიც ქა-  
ბატოს ნაკვალევს გახედა.

ქიტომაც ხედები გაატატანა: ფრიდონას ვერ შე-  
ველევიო.

თებრამაც გაბედულად თქვა.

ბარე ათი კაცი მაინც გამოვიდა სიტყვითა და  
ათივემ ქაბატოსა და ვანას დაუჭირა მხარი. კამათი  
შეწყვიტეს, თორემ სხვებიც ბევრი მოვიდნენ ლა-  
პარაკის მადაზე.

ფრიდონი იმაზე უფრო იყო გახარებული, რომ  
სოფელმა ასე დააფასა, თავს კი უხერხულად  
გრძნობდა, რომ გაბრიელი უკმაყოფილო იყო.

რაიონის თავაკცი განაწყენდა. მამ რა იქნებოდა,  
თავისი ვერ გაიტანა, მხოლოდ მისი მოსაზრება  
რომ ყოფილიყო, ადვილად ჩაიქნევდა ხელსა, მა-  
გრამ ეს მთელი ხელმძღვანელობის დავლება იყო.  
პირველმა მდივანმა გააფრთხილა კია: ცოტა ძნელი  
ლელო გაქვს გასატანი, მაგრამ სიმძნელებს არ  
უნდა შევუშინდეთ. გაბრიელმაც დაამიდა. ახ-  
ლაც კი ის ედგა თვალწინ, რა პირითა უნდა მო-  
ესხნებინა შედეგები. ასეთი მარცხი ჭერ არ მოსვ-  
ლია. გამეხებულნი იქნა და ფიქრობდა.

— რა ვუყოთ, პატივცემული გაბრიელი! — მო-  
რიდებით შეეკითხა კრების თავმჯდომარე.

— რა უნდა ვუყოთ, გასაგებია ხალხის აზრი,  
ჩვენც სწორედ მაგისთვის ვარჩიენთ, როგორც  
უნდათ ისე გატარდეს, თავიანთ ბედს თვითონვე  
განაგებენ, სრულიად სამართლიანი იყო ამხანაგე-  
ბის გამოსვლა... უყარე კენჭი! — მხრები აიჩიქა.

— ამხანაგებო, ვინა ხართ მომხრე ფრიდონ შარ-  
მანაშვილი დარჩეს კოლმეურნეობის თავმჯდომა-  
რელი!

ყველა ყაბულს იყო.

კრება დაიშალა, ხმაურით ტოვებდნენ იქაურო-  
ბას.

პრეზიდენტის წევრებმა ბოლოს დატოვეს დარ-  
ბაზი.

— აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ამხანაგებო! —  
ხელი გაუწოდა გაბრიელმა, — ვინც გინდოდათ,  
დაგიტოვეთ და ახლა თქვენ იცით, როგორ გვა-  
სახელებთ, ყოჩაღ, ქაბატო ასე უნდა, ნამდვილი  
კომუნისტი შენა ყოფილხარ!

ქაბატომაც მაგრად ჩამოართვა ხელი.

— შეილო გაბრიელი, კი არ გეწყინოს, შეილივით  
მიყვარხარ, მაგრამ სიმართლის მაინც ვერ დაგამ-  
ჯობინებ! — მიაყოლა ქაბატომ.

— არა, როგორ გეკადრებათ! — და მიიჭახუნა  
მანქანის კარები.

დარჩენაზე თხოვნაც ვეღარ შეებდეს სოფლის  
თავაკცებმა.

ქაბატოს მადლიერებით შესცივინებდნენ.

— ეი, თომანთ რძალი, შენს დედამთილს რომ  
მკლავის სიგრძე ენას წამოუგდებ ხოლმე და მიც-  
ვალეზულეებს საფლავიდან უყრი, აქ რა დამუწე-  
ბულივით იქეი! — თავისებურად ხუმრობდა ქა-  
ბატო.

თომანთ რძალი იციონდა.

— შენც კი გასასახრი მყახარ, ჩიბილიანთ ბი-  
ჭო, სულ ხომ თამადად არ დაგხვამ, რომ ენა ავარ-  
ჩიშო! სათქმელი აქ იყო აი!  
ქაბატოს სიტყვები არავის სწყენდა.

— ვენაცვალე ამათა, — ხელი გაიშვირა სიტყვით  
გამოსულებსავე, — კარგა ამბებს მხარი, თორემ  
თუ ვაგნაპირდებოდნი, მერე გეცქირათ ჩემი საცო-  
დაობისათვისა.

— რაზე დამლუბე, ქაბატო! — წამოვიწა ფრი-  
დონი.

— ტყუილად ამტარე ტაბიკებსა. ეგრე უნდა  
იდგე კვალში... გერჩენა კია კაბინეტში ჯდომი,  
აი როგორ ყველას სული გცივთ დედკაცობისა-  
თვის.

და თან კეთილად გაიცინა.

ფრიდონიც აყუვა სიმხიარულეს.

სოფლელები ნელა მიბაიჭებდნენ და უბან-უბან  
იფანტებოდნენ.

მიმწუხრია წრფელი  
ბინდში შედის წყნეთის სახლარი.  
გალობა შავი წუთისოფლის ფერი,  
ლამის ფერი, შავი საღებავი.

გსურდა საუბარი,  
მოთუხთუხე სახლში სამოვარი,  
თურმე დობილს თვალი ჩაუკარი  
და უჩვენე სატრფოს სახსოვარი.

წისკილი და ტივი,  
თუ საზამთრო შენი ნახელავი  
და დუღუკი მტკვრის ნაპირზე ტკილი,  
ლამის ფერი, შავი საღებავი.

ლამე ფუნჯით სწირე,  
ხევი ჰპოვე მთვარე სხვიოსანი.  
მემწვანაღვ, ლხინის მონაწილე,  
საქართველოვ, შენ ხარ ფიროსმანი.

მტკვრის ცოცხალი გსურდა,  
თევზაობდი ლამე მერქიფე.  
ნაწიმარზე ფეხი დავიცურდა  
და დავემხო თავზე სხვისი კბე.

მეტყველი და მუნჯი,  
ვიწრო ქუჩა ლამეს ინახავდა.  
შენი სახლი მოხატული ფუნჯით,  
მოსახვევი სოფლის საყდარს ჰკვავდა.

უტეხი და ურჩი  
შენ ლოგინში ვერ დაძლიე ქვალა,  
შულამე და სუფრა ხატე ლურჯი.  
აქეთ ვერა, იქით ორთაქალა.

მტკვრის ნაპირზე რბოლი,  
შენს ბადეში გახვია ღლაკი.  
დაგეწია მთის აღმართზე ორბი  
და შულამის შავი საღებავი.

ჩაუვლიდი მოხატულ აივნებს,  
თან ფიქრობდი, მარგალიტის სძინავს,  
გიყვარდა და ყიდულობდი ყვავილებს  
და ავსებდი ყვავილებით ბინას.

არ ლოთობდი მედუღუკის ჭინაზე,  
არ გინდოდა ღვინის სმა და სუფრა.  
მარგალიტას ფერმხილი სინაზე  
თეთრ ტილოზე ორჯერ გადიფურა.

ამ უბანში დადიოდი კენტად,  
კაფანდარა, მოქიფე არიფი.  
მარგალიტამ როგორ გაგიმეტა  
და ქუჩებში გაწაწწალა ღარიბი.

ეგებ ცდები და წალვერში გალობს,  
მიუბნა უცხო სუფრას მარილი.  
ან უეცრად საღმე სამკურნალოდ  
წაიყვანეს ავადმყოფი ყვავილი.

შენ არვის არ ეხებოდი შურით,  
იყავ მხოლოდ მხატვარი და ძმა-ბიჭი,  
საქართველო შენ მოგდევდა ურმით,  
გაუსწარი და წინ დადგი ნაბიჭი.

\* გამოუქვეყნებელი ლექსებიდან.



თბილისელი მფრინავი შალვა სარაული.

1944 წელი... სექტემბერი... დახუ... საქმარისია... ეს სიტყვა გაიგონოს ადამიანმა და მას თვალწინ წარმოუდგება სიკვდილის თავზარდამცემი თარეში, ეკლიანი მათულ-ხლართები... იმ დღესაც, როცა ოთხმოცდაათობის მემკვიდრე სამხედრო ტყვე-ოფიცერი გამოიყვანეს ეზოში, ავბედითად ბოლავდნენ კრემატორიუმის შავი მიწები დაწვეული დახაუში. ტყვეებმა იცოდნენ, რომ ახლა ყოველ მათგანს ტყვეას დააბლიდნენ კეფაში და უმაღლესი გააფრთხილებული ლუმელებში შეპყრიდნენ. იცოდნენ ეს და მინც ამაყად მოდიოდნენ, სიკვდილისადმი უსაზღვრო სიძულვილით გამსჭვალულნი.

მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ნიურნბერგში, მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესზე დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმარმა, ჩეხმა ექიმმა ფრანც ბლახამ ამერიკელი ბრალმდებლის დოდის შეკითხვაზე უპასუხა: „1944 წლის სექტემბერში ესეკელეებმა დახვრიტეს მაღალი სამხედრო თანამდებობის რუს სამხედრო ტყვეთა ჯგუფი, ოთხმოცდაათობის მემკვიდრე კაცის შემადგენლობით“.

გასაგებია, რომ მოწმის ამ სიტყვებმა ყველაზე მეტად ტრიბუნალის საბჭოთა მხარე დაინტერესა. სსრ კავშირიდან მთავარი ბრალმდებლის თანაშემწის, პოლკოვნიკ ლ. პოკროვის თხოვნაზე უფრო დაწვრილებით მოეთხორო ამ 94 კაცზე, ბლახამ დაუმატა, რომ ამ ჯგუფში იყვნენ საბჭოთა გენერლები, პოლკოვნიკები და მთავრები, რომ ისინი იმავე დღეებში დაჰკითხეს და ისე მხეტლავდნენ აწამეს, რომ ბარაკებში უგონოდ მოიყვანეს.

შემდეგში ცნობილი გახდა ამ შესანიშნავ საბჭოთა მოქალაქეთა სახელები. მათ გვარებს აქ აღარ ჩამოვთვლით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ძველი გვარდიის წარმომადგენლებთან ერთად, ფაშისტურ ტყვეობაში მოხვდნენ ახალგაზრდებიც, მათ შორის ქართველი ქაბუჯი შალვა სარაული.

ბუნებრივია, რომ ასეთი ადამიანები ტყვეობას ვერ შეეგუებოდნენ, მათ გადასწყვიტეს შეეჭმნათ არალეგალური ორგანიზაცია.

1943 წლის 9 მარტს მიუნხენ-პერლახის საკონცენტრაციო ბანაკის მეათე ბარაკში შეიკრიბნენ ტყვე საბჭოთა ოფიცრები, სადაც მათ მაიორმა ოზოლინმა გააცნო ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამის პროექტი. ასე შეიქმნა „სამხედრო ტყვეთა მძლერი თანამეგობრობის“ ორგანიზაცია. მას ხელმძღვანელობდა საბჭო ივანე კორბუკოვის თავმჯდომარეობით.

როგორც ყოფილი სამხედრო ტყვე ვასილ შახოვი იგონებს, ამ არალეგალური ორგანიზაციის მუშაობაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისელი მფრინავი, გვარდიის ლეიტენანტი შალვა სარაული. ეს იყო მაღალი, გამზღარო, სიმპათიური გარეგნობის ქერათმიანი ახალ-

გაზრდა. ერთი შეხედვით, ევროპელის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ამით იგი სარგებლობდა და შეუმჩნეველად გაერეოდა ხოლმე ევროპელ ტყვეებში. მან კავშირი დაამყარა სერბებთან, ფრანგებთან, ინგლისელებთან და ისინი ანტიფაშისტურ ბრძოლაში ჩაება.

შალვა სარაული, სხვა საბჭოთა ტყვე ოფიცრებთან ერთად, მუშაობდა პერლახის საავიაციო ქარხანაში, საიდანაც თვითმფრინავები აღმოსავლეთის ფრონტზე იგზავნებოდა. ტყვეები, ქართველი მფრინავის მითითებით, საფრენის საწვავი საწვავი ხელსაწყოებში სპირტის ნაცვლად სუროგატს ასხამდნენ. საქარხნო გამოცდის დროს ეს შეუმჩნეველი რჩებოდა, ზამთარში კი ხელსაწყოები იყინებოდა, რის გამო თვითმფრინავების დიდი ნაწილი უფარვისი ხდებოდა.

„სამხედრო ტყვეთა მძლერი თანამეგობრობის“ ორგანიზაცია ამზადებდა საბჭოთა და უცხოელი ტყვეების აჯანყებას მიუნხენის ზონის ბანაკებში. ეს მზადება მიმდინარეობდა 1943 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე. მათ მოიპარავდნენ იარაღი და მედიკამენტები. აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელებად დანიშნული იქნა მაიორი კარლო ოზოლინი, განზრახული იყო ბანაკის დაცვაზე თავდასხმა, მისი განიარაღება. მახლობლად მდებარე სახენიტო ბატარეის ხელში ჩაგდება და ბანაკის სხვა ტყვეების განთავისუფლება.

არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვარაუდობდნენ, რომ ინგლისელები და ამერიკელები ისარგებლებდნენ სტალინგრადსა და კურსკთან გერმანელთა რჩეული დივიზიების განადგურებით და ევროპაში შეიჭრებოდნენ. მოკავშირეთა არმიების მოახლოება შესაძლებლობას მისცემდა მათ წარმატებით დაეგვირგვინებინათ აჯანყება, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ინგლის-ამერიკის სარდლობა არ ჩქარობდა მეორე ფრონტის გახსნას. ტყვეებმა გადაწყვიტეს გერმანიაში საბჭოთა ჯარების შეჭრას დალოდებოდნენ. მანამდე კი განეგრძოთ თავიანთი ფარული და მძიმე ბრძოლა.

საბჭოთა პარტიოტები მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელ ხელისუფალთ. 1943 წლის მაისში გერმანელმა პერლახის საკონცენტრაციო ბანაკში ფართო მუშაობა გააჩაღეს მოლაპარაკებლას ი. ვ. „განმთავისუფლებელი არმიისათვის“ მებრძოლთა შესაგროვებლად. „მძლერი თანამეგობრობის“ ორგანიზაციამ ჩაშალა ფაშისტთა და სამშობლოს მოლაპარაკებები ეს ღონისძიება.

საქმეში გესტაპო ჩაერია. გესტაპოში შეიქმნა „სამხედრო ტყვეთა მძლერი თანამეგობრობის“ ორგანიზაციასთან ბრძოლის სპეციალური განყოფილება. სამხრეთ გერმანიაში არსებული სამხედრო ტყვეებისა და „აღმოსავლეთელი მუშების“ ბანაკები პროვოკატორებით და აგენტებით ავსეს. პირველი დაპატიმრებები 1943 წლის 18 მაისს მოხდა. გესტაპოს ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო ბუგორჩიკოვი. მაგრამ დაპატიმრებულებს ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინეს. მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ, 1943 წლის ნოემბრისათვის შესსლო გესტაპომ „მძლერი თანამეგობრობის“ ორგანიზაციის ეკალის მიგნება და ორგანიზაციის ხელმძღვანელების დაპატიმრება. დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე ათეული საბჭოთა პარტიოტი, მათ შორის შალვა სარაულიც.

დაპატიმრებულნი გაგზავნეს მოოსტურგში და მოათავსეს № 1 საჯარმო ბარაკში, ჭერ ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი ხომ ნამდვილი ჯოჯობეთი იყო, ახლა წარმოიდგინეთ რა იქნებოდა საჯარმო ბარაკი!

მოოსტურგიდან დაპატიმრებულნი 1944 წლის მარტსა და აპრილში დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში გადაგზავნეს, საიდანაც იშვიათად თუ ვინმე ბრუნდებოდა ცოცხალი.

დახაუს ბანაკში არსებობდა არალეგალური ორგანიზაცია, რომლის დაკლებითაც საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი ვ. ომიადე (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი) საქ-

# გილი გაგზავნი თავისუფალ ქვეყნად

მელ-სასმელს აწვდიდა შალვა სარაულსა და მის მეგობრებს.

ვ. ომიადე იგონებს: „ჩემმა ოლდრისმა მაცნობა, დღეს დახაუში საბჭოთა ოფიცრები მოიყვანეს, მათ შორის, ერთი ქართველია, თბილისიდან. სალამოს 7 საათზე ოლდრისმა გამოვიყვანა მაღალი, გამზღარო, სიმპათიური ახალგაზრდა. პირველი შეხედვით თითქოს ქართველი არ ჰგავდა, მაგრამ რომ დააკვირდებოდით, ტიპური ქართული სახე, ცხვირი, თვალები და გამომეტყველება ჰქონდა. მარჯვენა ლოყაზე ნაჭრილობები ემჩნეოდა... მან გვითხრა, რომ იგი თბილისიდან არის, მისი სახელი და გვარი შალვა სარაულია... ჩემთვის სარაული ნაცნობი გვარი იყო. მიხილ სარაული კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა ნათესაური კავშირი ჰქონდა მასთან, შალვამ მიპასუხა, იგი ჩემი ღვიძლი ბიძააო. შალვა სარაული დაწვრილებით მოგვიყვა თავის თავგადასავალს“.

ვ. ომიადემ და მისმა ამხანაგებმა ასე შეიტყვეს, რომ შალვა სარაული დაბადებული იყო 1919 წელს, თბილისში, პროფესიული რევოლუციონერის იოსებ სარაულის ოჯახში. სიმუშალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისის აეროკლუბის კურსანტი გახდა, აქედან სტალინგრადის სამხედრო-სავიაციო სასწავლებელში გაგზავნეს. ომი რომ დაიწყო, შალვა უკვე გამოცდილი მფრინავი იყო. ფრონტზე, საბრძოლო დაჯილდების შესრულების დროს, სარაულის თვითმფრინავი ჩამოვარდა, თვითონ პარაშუტით დეშედა და ტყვედ ჩაგარდა. მაგრამ ჰიტლერელთა სიკვდილის ბანაკებშიც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა.

ბრძანება საბჭოთა ოფიცრების ზემოხსენებული ჯგუფის დახვრეტის თაობაზე — უშუალოდ ბერლინიდან მოვიდა. ომიადეს ეს ამბავი აცნობა გერმანელმა პოლიტ-პატიმარმა ვილი პრაისმა. საკონცენტრაციო ბანაკის 27-ე ბლოკის ერთ-ერთი ოთახის ფარული ომიადე და სხვა ქართველი პატიმრები — ამბროლურელი გ. ჭელიძე, ბათუმელი ტ. წითლიძე, ქუთაისელები გ. ცინცაძე და ვ. ბაბუნაშვილი უკანასკნელად გამოეთხოვნენ თავიანთ მებრძოლ თანამებრძოლებს. მეორე დღეს შალვა სარაული და მისი მეგობრები დახვრიტეს. ამ საქმეზე დაპატიმრებული სხვა საბჭოთა ოფიცრები კი მათეპოუნენის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს, რომელთა ნაწილიც რაღაც სასწაულით გადაურჩა ფაშისტურ ჯოჯობეთს და შთამომავლობას შემოუნახა ხსოვნა შესანიშნავ მამულიშვილთა კემარითად გმირულ საქმეებზე.

„სამხედრო ტყვეთა მძლერი თანამეგობრობის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელების დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის უშუალო ორგანიზატორები იყვნენ მიუნხენის გესტაპოს უფროსი, შტანდარტენფურერი შეეფერი, მისი მოადგილე, ობერ-შტურმფურერი ლეპიუხენერი და ბუგორჩის გესტაპოს პროფესორული ჯალათი რეიხარტი; ამ რამდენიმე ხნის წინათ ეს ჯალათები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, მაგრამ ბონის სასამართლო ხელისუფლებამ ისინი... გაამართლა.

დ. ჯაბიძე, შ. ავრიღონიძე.



დირიჟორის პულტთან — კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე, როიალთან თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე გიორგი სტურუა.

# სტურია სტურუა

გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს ანდრია ბალანჩივაძეს დაბადების საშობო და შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცი წელი შეუსრულდა.

ანდრია ბალანჩივაძე ბრწყინვალე ოსტატი და შემოქმედია, რომლის ნაწარმოებები ამდღებამდე მთელი საბჭოთა მუსიკის დიდ საუნჯეს.

ანდრია ბალანჩივაძის ბალეტები „მთების გული“, „ცხოვრების ფურცლები“, „მწირი“, სიმფონიები, საფორტეპიანო კონცერტები, კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები დამსახურებული წარმატებითა და უღრმესი სიყვარულით სარგებლობენ ჩვენს მსმენელთა ფართო წრეებში.

უურნალ „დროის“ რედაქცია ულოცავს კომპოზიტორს დაბადების 60 წლისთავს, უსურვებს ღრმად გრძობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ეროვნული კულტურის საკეთილდღეოდ.



\* \* \*

ფოტოები, რომლებსაც აქ ვაქვეყნებთ, ასახვენ ბალეტ „მწირი“ მუშაობის ეპიზოდებს.

პირველი სურათი, ზემოთ: ანდრია ბალანჩივაძე, ბალეტის დამდგმელი რევზ წულუკიძე და მხატვარი ირაკლი ყიფშიძე ათვლიერებენ ბალეტისათვის გამზადებულ ესკიზებს.

მეორე სურათი, ქვემოთ, მარცხნივ: ირინე ჭანდიერი ამ ბალეტში ასრულებს მთიელი ქალიშვილის პარტიას, კომპოზიტორი და ბალეტის დამდგმელი სინჯავენ ერთ-ერთ მიჯანსცენას.

ეს ბალეტი დაწერილია მ. ლერმონტოვის ამავე სახელწოდების პოემის მოტივებზე, მოქმედება ხდება მცხეთის ჭვრის მონასტრის მიდამოებში. ამიტომ გასაკებია, რომ ბალეტის წერის დროს ანდრია ბალანჩივაძე სწორი სტუმარი იყო ამ ადგილებისა (სურათი ქვემოთ, მარჯვნივ).

ფოტო ოთარ თურქიანსი



იონა პაპალი

ღელა ენა

რვალის ზარზე უმტიციხოს,  
საალერსო დედის ენავ,  
შენგან გულის დასაკადი  
ერთხელაც არ მახსოვს წყენა...

ვიდრე პირში სული გვიდგას  
ეს ქვეყანა შენით ელავს,  
შენი სიტხლით აღვწებულნი  
სული ლაღობს, გული დელავს...  
ბრძენს შენით აქვს სიბრძენის ძალა,  
გმირიც შენი ხასრით ელავს,  
ავდარშიაც იმედს გვაძლევს,  
როგორც ცაზე ცისარტყელა!  
მტერს თუ ვებრძვით — შენით ვებრძვით.  
მზად გვაქვს თოფი გასატენად,  
გვიტყვი — მზად ვართ სიცოცხლისთვის,  
გვიტყვი — მზად ვართ მოსაკვდენად...  
როცა სატროფოს ჩვენ ფიქრს ვუმზებდით —  
ის მზად არის საკოცნელად...  
გულის კარის გასაღებო,  
შენით გვშვენის ცრემლთა დენა!

კუშკინის გაღვი

შემოდგომა... ნიავს თამაშით  
უნდა ფოთლები მომირბენოს,  
პატარა ბაღის ვარდისფერ ქვაში  
ტკბილ სიმღერების სძინავს გენიოსს.  
მაგრამ რატომ დღუშს ფიქრთა მპყრობელი,  
რამ შეაჩერა ხმების ზრიალი —  
ბოროტ ვნებების უარმყოფელი,  
მებრძოლი სული ქარიშხლიანი?  
და იქვე, თითქოს დარდით ვნებული,  
დგას ძველთან ახლაც ქართველი ქალი,  
მისი წმინდობით გულდავსებული,  
მისი გენიის ლექსებით მოფარალი...  
და „გამახსენდა ძველი ტკივილი  
ის ძველი ხმებიც მძლე და მქუხარე:  
„ნუ მღერი ჩემთან, ჩემო ღამაზო,  
შენ საქართველოს მანგებს მწყუხარეს!“

თეთრი მტრელი

ერთხელ გნახე, გენაცვალე,  
გამრჭე ხელით ვარდებს რწყავდო,  
მომეწონა ნაზი რსევა  
და ამისთვის შემეყვარდი.  
იბრუნდნენ კულულები,  
შრიანდებდა ტანზეც ჩიტი  
და წელი შიგ ისე ჩანდა,  
ვით ბეჭედში ბროლის თითი.  
დაილოცოს ჩვენი მიწა,  
დაილოცოს ჩვენი ბედი,  
დე, სულ ასე დულუნებდეს  
ქართლის ბაღში თეთრი მტრელი!

განვლილი დღენი

ჩვენ მუდამ ტკბილად მოვიგონებთ  
წარსულის დღეებს,  
ბავშვობის ხანას, ვენახ-ყანას  
დაბურულ ტყეებს,  
მდინარეებს და ნაკადულებს,  
ჩახლართულ კლდეებს,  
მთაში ნაძვარებს, ბარში ჭადრის  
ახოვან ხეებს,  
მთვარიან ღამებს და ზღაპრებში  
გავიწილ დევებს...  
ჩვენ ასე ტკბილად მოვიგონებთ  
წარსულის დღეებს!  
რა დაგვავიწყებს დედის სმას და  
მის წმინდა კალთას,  
ტკბილ ნანას, ცრემლებს, ეღვარებას  
უმანკო თვალთა...  
საღამოებს და ხშირ ხიარულს  
ორღობის თავთან,  
იქ გულის პირველ აღსარებას  
მეზობლის ქალთან...  
შემდეგ იმედის გაცრუებას  
და ცრემლებს თვალთა  
და სხვა ათასგვარ-ათასნაირ  
მოგონებათა!  
ჩვენ მუდამ ტკბილად მოვიგონებთ  
წარსულის დღეებს,  
ჩვენგან გაფრენილ აწ გარდასულ  
წლებსა თუ თვეებს,  
მრავალ ოცნებას, ბავშვურ ფიქრებს  
უცნაურ ჩვევებს,  
ოცნების ბაღში აყვავებულ  
ალუბლის ხეებს,  
სიმინდის რჩევას, ღამის თევას  
რუდაბურ ტყეებს,  
ჩვენ მუდამ ტკბილად მოვიგონებთ  
წარსულის დღეებს!

ნოღარ შამანაძე

მე მოვალ შენთან

ოცდამეერთე საუკუნეზე, მე მოვალ შენთან,  
აუცილებლად მოვალ,  
ოცდამეერთე საუკუნეზე, მე მოვალ შენთან,  
მოვალ სიცოცხლის ლტოლვად.  
მოვალ ნაბრძოლი,  
წამთარაგით თეთრწვერაშლილი,  
ქოხის კაკუნით მოვალ;  
ხელს გამოვიწვდი,  
მოგეხვევი ყელზე ბავშვივით,  
შენთან დავრჩები მყოვარ.  
მე მოვალ შენთან სულითა და მხნეობით  
მძღვარი,  
შემხვედები გაულუნგელს,  
და გადმოვხედავ სიამაყით,  
ხალისით,  
კრძალვით,  
მეოცე საუკუნეს.

მ უ ხ ა

— როგორი თავმდაბალი ხარ,  
მუხავ ბუბუნავ, ზრიალაქ! —  
კურკანტელახაც თავს უკრავ,  
მარტო ასკილხა კი არა...  
— მე ჩემი თავმდაბლობითა  
ჩერ არა დამპარჯიარა!

შენი ფასვის  
ფასვად მთვლიდი


შენს პაწია სხივად მთვლიდი  
საიმერლოს, საქართლოს...  
მერე თუგინდ ჩავქრე კიდეც,  
მაგრამ რაღა ჩამაქრობს?!  
შენი ფესვის ფესვად მთვლიდი,  
ხელი ვერვინ წამოგვრას,  
მერე თუგინდ მოგვადე კიდეც,  
მაგრამ მერე რა მომკლავს?!

ჰადრემო...

ჰადრემო,  
სულ ერთად დგახართ,  
ჭირში ერთმანეთს ფარავთ,  
ჰადრემო,  
ერთმანეთს ჰგავხართ,  
ვით რუხი ცხვირების ფარა,  
თქვენი ერთობა მომწონს  
და ერთფერობა—არა!

ხვალ დასაწერო  
ლექსეგო

ხვალ დასაწერო, ლექსებო,  
უვილაზე უკეთესებო,  
ფიქრი მალეღვებს მწველია:  
თქვენ უნდა გამომჩინოთ,  
თქვენ უნდა გადამირჩინოთ,  
რაც დღემდე დამიწრია.  
ამომმღერეთ, ამოდით,  
გულზე ამწიეთ ცხრა ღოდი,  
თქვენ ჩემს დიდ იმედს გარკმევთ  
და გივდერებით ძალიან...  
თორემ რა ღასამაღია, —  
კარგად ვერა მაქვს საქმე...





აწყოთ ამერიკაში დიდი ტურნე. უფლებას ვაძლევ ჩემს თავს მხოლოდ შეგვეტოხოთ, ვაქვთ თუ არა სურვილი ამერიკაში წასვლამდე ჩამობრძანდეთ ევროპის მთავარ ქალაქებში. ვფიქრობ, პირველად ვენაში, შემდეგ ბუდაპეშტში, პრაღასა და ვარშავაში, ციურისხა და პარიზში, ლონდონსა და ამსტერდამში, ბრიუსელში, ჰააგასა და შესაძლებელია იტალიაშიც“...

აღსრულდა სანდროს სიკვდილის დროინდელი ნაოცნებარი. ქართულმა თეატრმა გადალახა კავკასიის მწვერვალები და ქვეყნიერებას აუწყა, რომ საქართველოს აქვს, თვით სანდროს სიტყვითვე რომ ვთქვათ, „თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი თეატრი, ანთებული ქართული გულით და ადგუნებული ქართული სულით“. რუსთაველის თეატრს „ცხოველი აქტიორული გენიალობა ძალდატანებით არ გაუხვევია ევროპის თეატრალურ სამოსში, არამედ, ასე ვთქვათ, ნაციონალური ნიჭიერებით აღიჭრელდნენ მშვენიერსა და მძლავრ სხეულს მთარ-

# ქუჩა მუხრანის სანდრო

პასილ ქიქნაძე

„ქართული თეატრის ნოვატორს“ — ასე წაწერა მიხეილ ქაბახიშვილმა სანდრო ახმეტელისადმი მიძღვნილ წიგნზე „არსენა მარაბდელი“.

ვ. გუნიამ ახმეტელს მისწერა: „ჩემო სანდრო! ყმაწვილობაში ფრთხილ შეხმას და ფრენას იყავი მოწადინებული, მაგრამ რომელი ფრენა შეიძლება იმ მძლავრ გაქანებას, რომელიც შენ გამოიჩინე ეროვნული ხელოვნების დარგში ახლა რომ მოვყავდეთ, არას ვინაღვლი, რადგან ჩემი თვალთ ვნახე ის, რაზედაც ვოცნებობდი, რასაც სიწმინდა ვლამობდი... ბედნიერი ხარ, ჩემზე უფრო ბედნიერი, რომ წილად გხვდა საქართველოს სულის უკვდავების მტკიცება და დადასისი!“

ესე უღლოცადნენ გვას ახმეტელს ქართული მწერლობისა და თეატრის დიდი მოღვაწენი.

თვითონ ახმეტელი კი დაუცხრომლად ეძებდა ახალ გზებს, ახალ მწვერვალებს.

მის შემოქმედებაში იხმოდა ქართული მითოსის შორეული ხმა, იგი ქართული ლეგენდებისა და თქმულებების ტრფილი იყო. მას ეწადა ქართულ თეატრს მქონოდა რაღაც ღვთაებრივი სიწმინდე და სიღამაზე, რაინდული შემართება და გმიროული სული, რომ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მოხსობლული დარჩენილიყო მისი მნახველი.

ამას მივლტვოდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, აქეთკენ ისწრაფვოდა მისი მემამბოხე სული.

„მე აღტაცებული ვარ, — წერდა ცნობილი ამერიკელი კრიტიკოსი სტრონგი, — ჩემი საუკეთესო თეატრალური შთაბეჭდილება მოსკოვში — რუსთაველის თეატრი. ეს თეატრი უნდა ნახონ საზღვარგარეთ, უნდა შევისწავლოთ ქართული თეატრის განსაკუთრებული შემოქმედება, რომლის წყალობითაც დღეს ჩვენ თავს ვგრძნობთ ბედნიერ მახურებლებად. სიტყვები არ მყოფნის ნაგრძნობის და ვანციდლის გამოსათქმელად. ჩემს წინ სრულიად ახალი სამყარო გაღიაშალა“.

„მადლობა რუსთაველის თეატრს, — წერდა ნორდალ გრიგი, — სიცოცხლით სავსე და უმშვენიერესი სპექტაკლებისათვის, რომელთა მსგავსი შე არასოდეს არ მინახავს“.

დანიელმა თეატრალურმა მოღვაწემ ა. ქრისტანსენმა, „ანზორის“ ნახვის შემდეგ თქვა: „ქართველმა არტისტებმა და მათმა გენიალურმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს“.

ისტორიამ შემოინახა საერთაშორისო საკონცერტო ბიუროს დირექტორის არტურ ჰოგენბერგის წერილიც. იგი ახმეტელს წერდა: „როგორც გავიგეთ, განზრახული გქონიათ მომავალ წელს მო-

გო ახალი თეატრალური ფორმა. მან გამოხატა სახალხო მახეები მათ რევოლუციურ აზვითებაში... რუსთაველის თეატრმა გააკვირვა მოსკოვი... რუსთაველის თეატრი დაწინაურდა მსოფლიო თეატრების პირველ რიგში“ (ა. ლუნაჩარსკი).

უჩვეულო თეატრალური სამყაროს ხილვამ განაცვიფრა მაყურებელი. ახმეტელმა დიდებულად იგრძნო ქართველი ხალხის „თეატრალური ნერვი“ და მისი არტისტების ვუკაცურის სული.


მის ენერგიულ თეატრალურ სტილს ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ; ეს იყო ეროვნული კულტურის სინარული, ქართული თეატრის დიდი წარმატების აღიარება. ამ ბედნიერ დღეებზე ოცნებობდა ახმეტელი სტუდენტობის წლებში, ამის შესახებ წერდა ჭერ კიდევ 1915 წელს: „აღსდგება ირი, აღსდგება თვით თეატრიც, სპექტაკლიც, ქართული სულიც“.

ახალმა დრომ, ახალმა საქართველომ წარმოქმნა ახალი თეატრი. „აღსდგა ირი“ და თავის განახლებული სული აამეტყველა სცენაზე.

ხელოვნების დიდ გზაზე ახმეტელი ისე მოულოდნელად არ გამოჩენილა, როგორც ამას ხშირად წერენ ხოლმე. ჭერ ისევ 1910 წელს ის იწყებს აქტიურ უურნაღისტურ მუშაობას: აქვეყნებს წერილებსა და კორესპონდენციებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. ამ ხანებში იბეჭდება მისი ვრცელი სტატიები „ტოლსტოის დღეები პეტერბურგში“, „ილიზა ოფუქო“, ამის შემდეგ იგი წერს ქართული თეატრალური აზროვნების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელოვან წერილებს — „შოსკოვის სამხატვრო თეატრი“, „მომავალი ქართული თეატრი“, „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული“, „ოდიშოს მიფე“, „ვასო აბაშიძე“, „ნიკო ჩხეიძე“ და სხვ.

ამ სტატიებში მომავალი რეჟისორი გვევლინება, როგორც ეროვნული კულტურის დიდი გულშემოტკივარი.


ახალგაზრდა ახმეტელი შემოფოთებული წერს: „შალიკაშვილი გაჭირვებაშია; ხანგრძლივმა შრომამ, ხელოვნებისადმი გულშემოტკივრობამ გატეხა ეს ჭანსალი აღამიანი. არაფრის მქონე, უბატრონოდ ლოგინში წევს და ჩვენსკენ მოუბჟარა თვალები. ვინ იცის რას განიცდის ჩვენი ვალიკო? ვინ იცის, რა შავი ფიქრები დასტრიალებენ მის მოქანცულ სულს? საჭიროა შეილა“. იმავე ხანებში დაწერილ მეორე წერილში ქართული სცენის კლასიკოსის ვ. აბაშიძის მიმე მდგომარეობა აღწერილი: „უბა-



„ანზორი“

ტროსო, მარტოხელა მოხუცს, დასუსტებულ ვასო აბაშიძეს ჩვენი საზოგადოება ზერეულად ექცევა. არ ინტერესებს არც მისი ბედი, არც მისი ახლანდელი სულიერი განწყობილება. ჩვენ მოვწოდებით ყველა კულტურულ დაწინებულებას ამოიღოს ხმა, მიიღოს უფლებგარი ზომები და შეუნახოს ქართველ ერს ეს დიდებული მამულიშვილი“. ახლოვე გულისტკივილით მიმართავს იგი ქართველ საზოგადოებას შიო მღვიმელის მიმე მდგომარეობას გამო. „სხვისი ბავშვების მომდერალი. თავის საკუთარ ბავშვებს დასტრის მის ცოლშვილს ლუკმაპური ენატრება. გულსათუქული დაღის შიო ჩვენ რას ვფიქრობთ? ნუ თუ ხმას არ ამოვიღებთ?“ წერილი შთავრდება მოწოდებით, რომ შიო მღვიმელის სასარგებლოდ გაიმართოს საღამო.

ასეთი დრმა, მოქალაქეობრივი გულისტკივილით ესარჩლებოდა იგი ქართული კულტურის მოღვაწეებს.



„ანზორი“



ახმეტელი ფართო ანტირესებს, დიდი მხატვრული გემოვნების, კულტურისა და ისტუციის სეხელოფიანი იყო. მისმა სპექტაკლებმა („ლაშარა“, „რდევია“, „ანზორი“, „უჩაღები“, „თეონოდო“) სრულიად ახალი თეატრალური სინამდვილე შექმნეს ქართულ თეატრში, გვიჩვენა მანამდე მოუკიდველი, მანამდე გაუხსნელი მხატვრული სამყარო.

ახმეტელი იყო დიდი საბჭოთა რეჟისორი. მან გვიჩვენა გმიროლ-რომანტიკული თეატრის ბრწყინვალეობა, დაგვანახა მისი განუთარების პერსპექტივები.

ამ წერილს ჩვენ დავამთავრებთ შოსკოვის სიტყვებით: „ახმეტელი დღას თეატრის დიდი ისტატიების — მეიერხოლდის, სტანისლავსკის, ნემროვიჩ-დანიჩენკოს ვერდით. მათი სახელები სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის სსოგნაში“.

„ლაშარა“





დღეს მათიანე იქმნება არა მარტო მწერლებისა და ისტორიკოსების კაბინეტებში, არამედ კულტურის სახლებშიც, სამხარეთმცოდნეო მუზეუმებშიც, ფოტოლაბორატორიებშიც.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ისაკტორი მთელი გატაცებით ეძლევა თავის საყვარელ საქმეს — ფოტოურნალისტიკას. იგი უკვე 70 წლისაა. მისი ფოტოსურათების მიხედვით შეიძლება აღადგინოთ თელავისა და მისი რაიონის მთელი ისტორია ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე.

რას არ ნახავთ ისაკის მდიდარ ფოტო-არქივში: თელავის ისტორიული ძეგლები, ძველი ქალაქის ქუჩები, აქაური სოფლები, ხედავთ როგორ თანდათან მშვენივრდება თელავი, ბაღებში ჩამჭდარი ქალაქი, მუდამ მშრომელი და მოუწყყინარი; მაგრამ ისაკის ფოტოაპარატის მთავარი ობიექტი აღმიანები არიან — შრომის გმირები, კოლმეურნეები, ახლის მშენებლები, ჩვენი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა.

აუარებელი სტუმარი აწყდება ისტორიულ ქალაქს, ჩამოდიან ახლობელნი, შორეულნი, რომლებიც აქ მეგობრულ გრძნობას მოუყვანია. ფოტოურნალისტი პირდაპირ გუშავით დგას — არავინ გამოირჩებს, აღბეჭდოს მათი აქ ყოფნის წუთები.


აგერ, დაუვიწყარი ნატო ვაჩნაძე; აქ, თელავში ჩამოსული შეხვდა შაქრო ბერიშვილს, რომელმაც პირველმა გამოიყვანა იგი ეკრანზე (ფოტო 1). გიორგი ლეონიძე... პოეტმა ჩამოსვლის უმაღლესი გრძნობის ტაძრის ნახვა მოინდომა (ფოტო 2).

აკად. გ. მელიქიშვილი გრემის ტაძრიდან გადმოსცქერის მიდამოს (ფოტო 3).

მიხეილ შოლოხოვსაც აქეთ გამოუწია გულმა; მას თან წამოჰყვებენ მასპინძლები — ირაკლი აბაშიძე, დავით მჭედლიშვილი, გიორგი ჭიბლაძე (ფოტო 4).

წინანდლის სახელგანთქმული ვენახები. შვილიშვილები პაპას მხარში ამოღდომიან (ფოტო 5).

# ესაქ თქვისეუნი მქუნიქნიქ



მდიდარი და უძველესი ქართული პოეზია მრავალ ბრწყინვალე სახელს იცნობს, მათ შორის ერთ-ერთი გამოჩენილი სახელია ვალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც დიდად წინ წასწია და ახალ მწვერვალზე აიყვანა მეოცე საუკუნის ქართული ლირიკა.

აქ ჩვენ გვინდა ზოგი რამ გავიხსენოთ ამ დიდი პოეტის ცხოვრებიდან.

ვალაკტიონი არა მარტო ჰქმნიდა ახალ ქართულ ლირიკას, არამედ თეორიულადაც ასახულებდა მას. პოეტის ბუნების განსაზღვრისას, პირად საუბარში, იგი ხშირად იხსენებდა გოეთეს აზრს, ეკერმანთან საუბარში გამოთქმულს: „სანამ იგი გამოხატავს თავის მცირე სუბიექტურ შეგრძნებებს, ის ჯერ კიდევ არ არის პოეტი, მაგრამ როდესაც იგი დაეუფლება მთელ სამყაროს და შესძლებს მის გამოხატვას, იგი ხდება ნამდვილი პოეტი“. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვევლინება იგი „ამოუწურავ და, შეიძლება ითქვას, მარად ახალ პოეტად“. ვალაკტიონი დასძენდა ხოლმე, რომ პოეტის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის ერთიანობა, მთლიანობა განსაკუთრებულ დამაჯერებლობას აძლევს ლექსს.

ვალაკტიონს ჰქონდა მაღალი შუბლი, ზევით ავირცხნილი შავი პრილა თმები; მისი ხშირი წარბები არც თუ ისე იშვიათად ცახცახებდნენ; ლამაზი წვრილი თითები ჰქონდა, ამ თითებს იგი ისე ათამაშებდა, თითქოს ძერწავდა რაღაცას; შემდეგ, როდესაც მან წვერი მოუშვა, ამ თითებით გადაწყობდა თავის გრძელ, კლარამერულ წვერებს; მის ბუნებაში იყო რაღაცნაირი ბავშვური მიამიტობა, ჰქონდა ალერსიანი გამხედვა; იღიმებოდა ნაზად, ქალური ღიმილით, ხოლო თუ გაიცინებდა, გადაიხარხარებდა მძლავრად.

ერთხელ ვალაკტიონმა მითხრა: „ჩემი შემოქმედებითი მუშაობის წლებში, პოეტურ სახეებს მუდამ თავის ტყვეობაში ვყავდიო“. მისი ლექსები ხან თითქოს თავისთავად წარმოიშვებოდნენ, თითქმის მთლიანად დასრულებულად, ხან კი გაივლივდნენ დასაწყისი სტრიქონები, ჩაისახებოდა სიმღერის საერთო კონტურები და შემდეგ შთაგონება მოითხოვდა მის მალე დასრულებას. უფრო მეტად ღამით ეცხადებოდნენ მის პოეტური სახეები და თუ მათ მაშინვე არ გადაიტანდა ქალაქზე, ისინი მალე ქრებოდნენ მისი გონებიდან. მისი ლექსები ყალიბდებოდნენ უშუალო შთაბეჭდილებათა და განწყობილებათა შედეგად, რამდენიმე საათის ან რამდენიმე დღის განმავლობაში.

„გიორგი ქუჩიშვილმა ერთხელ წამიყვანა ზემო გურიასი, ცოლოურს,—ჰყვებოდა ვალაკტიონი,—ეტლში ჯდომისას ჩავიფიქრე ლექსი „გურიის მთებს“. დაბალ სიმღერას თანდათან მოჰყვა სიტყვები, სტრიქონები, რითმები და როდესაც ეტლიდან გადმოვიდი, ლექსი უკვე საესებო ჩამოყალიბებული იყო ჩემს გონებაში. ადგილზე მისვლისას კი უბის წიგნაკში ჩავიფიქრე მთელი ლექსიო“. ვალაკტიონი დიდხანს მუშაობდა ყოველ ახალ ლექსზე, მუშაობდა ხელნაწერზე, ასწორებდა, შლიდა, უმატებდა და აკლებდა, ინახავდა და შემდეგ კვლავ უბრუნდებოდა მას. ხშირად პირველი მონახაზიდან აღარაფერი რჩებოდა.

ვალაკტიონის ლექსი „ცხრაან თვრამეტი“ შევიდა მის თხზულებათა მეორე ტომში. მაშინ ეს ლექსი შეიცავდა 27 ტაბეს ანუ 108 სტრიქონს. ამ სახით გამოვიდა ის ავტორის ხელიდან და ასევე დაბეჭდა. მაშინ მე სახელგამაში ვმუშაობდი; მეორე ტომის ბეჭდვა, სადაც ეს ლექსი იყო მოთავსებული, უკვე დამთავრებული იყო, როცა ვალაკტიონი მოვიდა ჩემთან და მხოლოდ 12 სტრიქონის ამოღება ლექსიდან. ამ მოთხოვნამ გამაკვირვა. მაგრამ პოეტმა დაიწინებოთ მოითხოვა ამ სტრიქონების ამოღება. ჩვენ ანგარიში გავუწიეთ პოეტს, წიგნიდან ამოხეულ იქნა ის გვერდები, რომლებზედაც ეს ლექსი იყო დაბეჭდილი და შემდეგ ხელმეორედ დაბეჭდა იმ სამი ტაბის გამოკლებით. ამ ტაბიდან პირველი იწყებოდა: „რად აირჩიე

ტყე და გრიგალი“... მეორე: „წინ მკვლევლები გვეშლება ზოლად“... მესამე: „მე გეტხოვები“... ამ რედაქციით არის ცნობილი მკითხველსათვის ეს ლექსი (იხ. გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. II, სახელგამი, 1935 წ. გვ. 38-42); თხზულებათა თორმეტ-ტომეულშიც ეს ლექსი 1935 წლის გამოცემის მიხედვითაა გამოქვეყნებული. ამოღებული სტრიქონები შენიშვნებშია გადატანილი (იხ. გ. ტაბიძე, ტ. II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966 წ. გვ. 69-73, 337).

მუდამ ნაზი და ღრმა სიყვარულით იხსენებდა ვალაკტიონი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს. ის ხშირად გამოთქვამდა სინანულს, რომ ბარათაშვილმა მხოლოდ ოთხი ათეული ლექსი დაგვიტოვა, მეტის დაწერა ვერ მოასწრო, მაგრამ ამასაც არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობაო, დასძენდა ხოლმე. ჭეშმარიტი პოეტის ნამდვილ ნაყოფიერებას განსაზღვრავს არა მისი ლექსების რაოდენობა, არამედ შემოქმედებითი ძალა, ნაწარმოებების სიღრმე. პოეზიის ისტორიაში არა ერთი მაგალითი იცის იმისა, რომ პოეტი რამდენიმე ასეული ლექსის ავტორი ყოფილა, მაგრამ მნიშვნელობა, ღირსება მათი სრულიად მცირე დარჩენილა. კარგ პოეტს მხოლოდ ათიოდეთ-თხუთმეტოდე ლექსი ეყოფა, რათა იგი ელაპარაკოს ეპოქებს და უკვალი გახდესო.

# ვხვდებით გვასტრონოსს



განსაკუთრებულ სიყვარულს ამელაწებდა ვალაკტიონი აკაკი წერეთლისადმი. შემთხვევითი როდი იყო, რომ იგი ცდილობდა გარეგნულადაც მიეხატა „სულიერს“ ავტორისათვის. ხანდაზმულმა პოეტმა თავისი წვერ-ულვაში დაიყვანა ისე, როგორც ჰქონდა აკაკი წერეთელს, მხატვარს დაახატვინა დიდი სურათი, რომელზედაც ერთად იყვნენ გამოსახული აკაკი და ვალაკტიონი. ვალაკტიონი მიუთითებდა, რომ აკაკიმ აღმოაჩინა წყარო ნაზი, კეთილშობილური, წმინდა და ამაღლებული. პოეზიისა. ამოუწურავი იყო მის პოეტურ საშუალებათა არსენალი, რასაც იგი სრულყოფილად იყენებდა თავის შთაბეჭდილებათა გამოსათქმელად.

ვალაკტიონი იყო იმ ქართველ მწერალთა შორის, რომელნიც შეხვდნენ 1927 წელს თბილისში სტუმრად ჩამოსულ სომეხ და აზერბაიჯანელ მწერლებს, შემდეგ თვითონაც შედიოდა იმ დელეგაციასში, რომელმაც საპასუხო სტუმრობა მოაწყო აზერბაიჯანსა და სომხეთში. იგი ხანგრძლივად ესაუბრებოდა შესანიშნავ სომეხ პოეტს ედიშე ჩარენცს. ჩარენცი პირდაპირ განაცვიფრა იმ ამბავში, რომ ქართველი პოეტი ასე კარგად იცნობდა მის შემოქმედებას.

ვალაკტიონს მოსწონდა ბევრი ჩვენი ახალგაზრდა პოეტი, კერძოდ მირზა გელოვანი. „მირზა ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაა, მისგან ნამდვილი პოეტი დადგება. ხომ წაიკითხე, ძამიკო, მისი ახალი ლექსი, ფრონტიდან გამოუგზავნია. შეხედე, იქაც იგი პოეზიაზე ფიქრობს... მოსაწონია“...

სერიოზული მუშაობა ვალაკტიონთან ერთად ჩავატარეთ მისი „რჩეულის“ მომზადების დროს (1944 წ.). ვალაკტიონმა მომიტანა დიდძალი მასალა, ხელნაწერები, გადაბეჭდილი ლექსები და ამონაჭრები წიგნებიდან, დაახლოებით ოცდაათი ათასი სტრიქონი. აქედან „რჩეული“ უნდა შესულიყო ათი ათასი სტრიქონი. ამ სამუშაოს ჩატარება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ზოგი ლექსი სხვადასხვა სათაურით იწვეოდა და სამეგრეო მეორედებოდა. საჭირო იყო ამ მხრივაც გაცხრილვა კრებულსა. ლექსებზე წარწერილი თარიღებიც მოითხოვდა დაზუსტებას. ამ საქმეში ვალაკტიონი ყოველთვის

ვერ იჩენდა სიზუსტეს. ლექსი — „დაბრუნება“ მას სურდა დაბეჭდოდა შემოკლებით (16 სტრიქონის ამოღებით). მაგრამ ჩვენ ვურჩიეთ, რომ ეს შემოკლება არ იყო საჭირო; ვალაკტიონი დაგვეთანხმდა. ამიტომ ლექსი სავარაუდოდ შესწორების გარეშე დაიბეჭდა.

ვალაკტიონის აზროვნება იყო ყოველთვის პოეტური და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც თხზავდა. იგი ფლობდა დიდ პოეტურ კულტურას. გარდა მშობლიური პოეზიისა, ის ზედმიწევნით იცნობდა ფრანგული, რუსული, ინგლისური, იტალიური და გერმანული პოეზიის დიდოსტატთა შემოქმედებას. ახალი ფრანგული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, იგი ფრანგულ ენაზევე ზეპირად წარმოთქვამდა. მას ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს უშუალოდ ითვისებდა, მას უყვარდა მშვენიერება ყველა თავის გამოვლენებაში — პოეზიაში, ბუნებაში, ადამიანებში. ვალაკტიონის ხშირად ამბობდა: „ლექსი ეს უბრალოდ კარიმული სტრიქონები როდი, ეს არის პოეტის მთელი ცხოვრება, მისი შინაგან-საყარო, მისი განცდები და შეხედულებანი, მისი მდიდარი აზრები და ბედი. ლექსი პოეტმა უნდა დასწეროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ შეიძლება არ დასწერო ის. ამის გაუთვალისწინებლობის შედეგია, რომ არა ყოველ „ლექსს“ აქვს უშუალო კავშირი ჭეშმარიტ პოეზიასთან. ძალზე რთულია პოეზიის სამყარო, მასში ყოველთვის იფარება ადამიანის ტკივილები და აღფრთოვანება, მწუხარება და სიხარული.

დიადი და ლამაზი იყო ვალაკტიონის მთელი ცხოვრება. თავისი სიცოცხლე მან მოუძღვნა იმას, რაც უკვალია, რაც არასოდეს არ გაჰქრება—პოეზიას, მშვენიერებას. მისი ლირიკული სიმღერების ხმა დიდხანს, დიდხანს ააჭქროლებს მკითხველის გულს. იგი უყვარდათ, უყვარო და ეყვარებოთ. გაივლიან წლები, ახალი და ახალი გამაჯვრებებით გაპიდიდრება ჩვენი პოეზიის სახელოვანი მატიაწე, მაინც მუდამ ძლიერი იქნება სიყვარული ვალაკტიონისადმი. მისი სულშიამწვედომი ლექსებისადმი.



დასავლეთ ანატოლიის პეიზაჟი.

იზმირის მხარის ამინდი დაგვიხდა. ამ საშუალო ზომის ქალაქს (400 ათასამდე მცხოვრებით) ოსმალეთის იმპერიის დროს ეძახდნენ „გიაურ იზმირს“ — უძველეს იზმირს. ძირითადი მოსახლეობა მაშინ ბერძნული იყო. დღეს ესაა თურქული ექსპორტის ცენტრი (გააქვთ ძირითადად ბამბა და ხილი), ყოველწლიურად აქ, კულტურის ცენტრალურ პარკში ეწყობა საერთაშორისო ბაზრობა. „ეს პარკი ბერძნების წყალობაა, — სიცილით გვეუბნება თარჯიმანი, — თავს დაგვეხსნენ 1919 წელს და აქ მთელი კვარტალი დაწვეს, მერე ჩვენ აქ პარკი გავაშენეთ“. თვით ქალაქი სმირნაც ოდესღაც ბერძნებმა დააფუძნეს. ერთ-ერთი ვერსიით სწორედ აქ დაიბადა ჰომეროსი.

თარჯიმანმა წაგვიყვანა ძველი „აგორის“ — სავაჭრო და თავშესაყრელი ცენტრის სანახავად.

იზმირის გეგმავადღებშიც, ცხადია, შესამჩნევი იყო სიდატაკე და, ამავე დროს, საოცარი სისუფთავე. საერთოდ, განსხვავებით ზოგი აზიური ქვეყნისაგან, თურქები ბევრად უფრო სისუფთავის მოყვარულნი არიან. ამასთან, თუმცა უმუშევარი ბევრია, უსაქმურს და ზარმაცს ვერავის უწოდებ. თურქი საქმიანია, მშრომელი და ანგარიშის მოყვარული. ცოტას სვამენ, თუმცა ამასალბათ ისლამს უნდა უმადლოდნენ, რომელიც სმას კრძალავს. სხედან ჩაიხანებში და სვამენ იაფფასიან ჩაის. ჩაის ერთ ნაწილს უკვე აქვე აწარმოებენ — რიზეს რაიონში. საინტერესოა, რომ თუმცა თურქეთი ძალიან ბევრ ოპიუმს აწარმოებს, მისი მოხმარება ადგილზე პრაქტიკულად უმნიშვნელოა.

იზმირის ბაზარი — ესაა ვიწრო ქუჩები, სადაც ორივე მხარეს მხოლოდ სავაჭროები და სახელოსნოებია, ზოგი ქუჩა მთლიანად პალატოებსა და კაბებს დაუფარავს, გამყიდველები ცდილობენ ყველა საშუალებით მიიპყრონ ყურადღება. ერთი სკამზე შემდგარა ზედ ქუჩის სავალ ნაწილში, ხელში საბანს აფრიალებს და აზარტში შესული ყვირის — „აბა აქეთ, საუცხოო სახენისი!“ მყიდველი ერთ-ორი კაცია. გვერდით, მეორე გამყიდველი ცალი ხელით დახლს ჩასკიდებია, გადმოყიდებულა წინ როგორც მცობრე, რომელიც აბორადუსათვის ემზადება, და თავგანწირული გაიძახის — „ყველაზე იაფი საპარსავები, ორი ლირა — ათი ცალი“ და მეორე ხელით იქნევს ინგლისურ საპარსავებს.

იზმირის ჩრდილოეთით მდებარე ბერგამაში, ყოფილ პერგამონში ზევსის საკურთხეველია, უზარმაზარი თეატრები, სამკურნალო ცენტრი, სასახლეების ნანგრევები. მზე უხვად აფრქვევს თავის სხივებს წაჩხულ დიდების ნაშთებს. წყნარ ქალაქში გავედით, სახელოსნოებში გამაღებით არემონტებდნენ ტრაქტორებს.

„სადაურები ხართ?“ — გვაჩერებდნენ. ჩვენი თანამგზავრი, უზბეკი ურნალისტი მიაღ ხაკიმოვი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თავისი ეროვნული ქუდით. ჩვენი ყველაფერი აინტერესებდათ. თვითონაც სიამოვნებით გვპასუხოვნდნენ. უბრალო ხალხი სიმპათიით გვეპყრობოდა. სულ მეგობრობაზე ვლაპარაკობდით და ურთიერთ ვაჭრობაზე. ეს თემა განსაკუთრებით წვრილ ვაჭრებს ახარებდათ, მაშინვე გვეკითხებოდნენ „ბევრს იყიდით ჩვენგან?“

ბერგამის ლიცეუმში (საშუალო სკოლის მაღალი კლასები) შესვენება იყო და მოწაფე ბიჭები ხმაურით თამაშობდნენ ფეხბურთს, გოგონებს კი ისეთივე ფორმა ეცვათ, როგორც ჩვენში და ხელიხელგაყრილი ერთ ჯგუფად სერიზობდნენ, თან ცალი თვალით ბიჭებს უყურებდნენ. ყველაფერი იყო ნაცნობი და შინაურული: ბავშვებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ მათი ტოლებიდან მხოლოდ 3,8 პროცენტი სწავლობს მათსავით ლიცეუმში, რომ ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. მათ საშუალება ექნებათ, თუ შეძლებულა ოჯახიდან არიან, შევიდნენ შვიდთაგან რომელიმე უნივერსიტეტში. ყველაზე ახალგაზრდა ტრაპიზონის უნივერსიტეტია, ორ-ორი უნივერსიტეტია ანკარაში და სტამბოლში, თითო იზმირსა და ერზურუმში. მაგრამ იქ სულ მან ათასამდე სტუდენტი სწავლობს.

სიოქე, იზმირის სამხრეთით 120 კილომეტრზე, აღმოჩნდა პატარა, ძალიან ცოცხალი ქალაქი. ირგვლივ, ახლომდებარე რაიონებში მისდევენ მებამბეობას. მექანიზაციაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია. სოფელ დიდმამში ადგილობრივ გლეხს, ფაშისს გამოველაპარაკეთ. იქაურობის კვალობაზე შეძლებული აღმოჩნდა, აქვს რამდენიმე ჰექტარი მიწა, ჰყავს ორი ხარი, ძროხა. „როცა ბამბის კრეფაა, ჩვენს ღარიბებს ვიშველიებო, სოფელში სკამივალ არიან“.

„რას უხდი დღემდე?“ — ვკითხე. „ათ ლირას, ჩვენთან ასეა“, — თავი გაიმართლა, თვითონაც იცოდა, რომ ძალიან ცოტას აძლევს. „კოოპერატივში თუ შეხვედი?“ — „შევედი, მაგრამ ვინც მდიდარი იყო და მეტი შეიტანა, ის მეტსაც იღებს, მე კი თითქმის არაფერი მომშატებია“.

კოოპერატივში გაერთიანებულ გლეხებს, სახელმწიფო კრედიტს აძლევს და ბუნებრივია ამით ყველაზე მდიდრები ხარგებლობენ, უმეიწაფელო გლეხები ვერ შევლენ კოოპერატივში.

სიოქეს მიდამოებში მდებარეობენ საქვეყნოდ ცნობილი ანტიკური ქალაქები — ეფესი, მილეტი, პრიენი. განსაკუთრებით შთაბეჭედავი იყო მილეტის დიდი თეატრის ნანგრევები, 2000 წლის წინ აქ ზედ თეატრის კედლებთან, ეგეოსის ზღვის ზვირთები შფოთავდნენ. პირდაპირ ხომალდიდან შეიძლება და თეატრში შესვლა. ახლა ზღვამ 9 კილომეტრით დაიწია, მდინარეებიდან ჩამოტანილმა შლამმა მშრალზე დასტოვა მილეტი. ოდესღაც აქ დულდა ცხოვრება, მილეტის კოლონიებით მოფენილი იყო შავი ზღვის სანაპიროები. დღეს კი ოცდაათ წუთში გვინდა ვნახოთ და ვივარდოთ ის, რაც ათ საუკუნეს აშენეს და თხუთმეტ საუკუნეს ანგრის. ბუზები ისევე ბზუოდნენ ნანგრევების გარშემო ამოსულ მაცვლის ბუჩქებზე, მზეც ისევე ციდა როგორც 25 საუკუნის წინ, არ იყო ზღვა და ხომალდები, არ იყო ბერძნული „ევოე“, მხოლოდ გალიფეში გამოწყობილი ქალამენიანი თურქი დარჩა უყურებდა, რომ ტურისტებს უფასოდ არ გადაეღოთ სურათები და ვირი კოტრაილობდა მტვერში, რათა მოეშორებინა ანტიკური ბუზები.

იზმირში დავბრუნდით. პატარა თვითმფრინავმა ჩავვიყვანა სტამბოლში, გზად ახალგაზრდა თურქი არქიტექტორს გავიცანი. „თურქ ხალხს თქვენთან მეგობრობა უნდა, — მითხრა მან, — მეზობლები უნდა თანამშრომლობდნენ“. მე ვუპასუხე, რომ ჩვენი ხალხი მუდამ იქით მიისწრაფის ყველა ხალხთან კეთილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს.

ქვევით გამოჩნდა დამის სტამბოლი. ათასგვარი ფერები და სინათლე უცებ გაწვდა (ეს ბოსფორზე გადავფრინდით) და მერე უფრო აკაშკაშდა.

სირკეჯიში, ძველ სტამბოლში, უახლეს სასტუმრო „საიაში“ გავჩერდით, სულ ახლოს იყო ოქროს რქა. გულმა აღარ მოგვითმინა და მივედით წყალთან, პირდაპირ ნაპირი ჩანდა — ეს გალტა იყო. მარჯვნივ, შორს კი აზიის ნაპირი ციმციმებდა. დიდი ბორანი ემზადებოდა მეორე ნაპირზე გადაეყვანა მძიმე სატვირთო მანქანები, რომლებსაც მიჰქონდათ სამრეწველო საქონელი კონიაში, ზონგულდაკში, კასტერიში. მთელი რიგი იდგა მანქანებისა.

ისთიქლიალი — ესაა სტამბოლის ცენტრალური მაგისტრალი. ადრე მას ერქვა „გრან რიუ პერა“. მას ამშვენებს XIX საუკუნის ევროპული არქიტექტურული ნაგებობები: დიდი შენობები, ევროპული ბანკები, მაღაზიები,

# სტამბოლის გზები

სასტუმროები. აქვეა საკონსულოები, ადრე კი საელჩოები იყო. დამით ისთიქლიალი ჩაძირულია რეკლამების შუქში, „მულენ რუჟის“, „ლიდოს“, „ფოლიბერეს“ ცნობილი კაბარების ფილიალები იწვევენ ფულიან ხალხს სტრიპტიზის საყურებლად. დღეს დღესაწაულია, რესპუბლიკის გამოცხადების დღე. მივედით მხიარულების ცენტრში — თავისიმი მოედანზე.

სტამბოლშია თურქეთის უდიდესი გამოცემლობები. აქ იბეჭდება ბევრი გაზეთი. ყველა მეთხველი თავის პარტიული სიმპათიის მიხედვით ყიდულობს გაზეთს. ტრაპიზონელი ლაზი, რომელიც პირველად შემხვდა თვითმფრინავში, „ზაფერს“ კითხულობდა. „ეს დემოკრატიული პარტიის გაზეთია“, — მითხრა მან. „რანაირად, ეს პარტია ხომ დაშალეს?“ გაიცინა და დამანახა გაჭეთის კუთხეში თეთრი ცხენი წითელ ფონზე. „სამართლიანობის პარტიამ იგივე სიმბოლო აიღო“.

სამაგიეროდ ქალაქელი ვაჭარი „ულუსს“ კითხულობს. „რასაკვირველია, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მომხრე ვარ“, აცხადებს იგი. მუშათა პარტია ჭრჭერობით სუსტია, მაგრამ მან უკვე საკმაო ხმები მოიპოვა არჩევნებში და პარლამენტში თითქმის მთელი რიგი უჭირავს.

გავედით ბოსფორზე, რუმელი მისართან. აქ ყველაზე ვიწრო ადგილი იყო, პირდაპირ მოჩანდა ანადოლუ მისარი, ციხე, რომელიც ოსმალებმა ააგეს XV საუკუნეში, კონსტანტინოპოლის ალყის წინ. ქალაქი განწირული იყო და 1458 წლის 29 მაისს იგი დაეცა. შემდეგ დაპყრობებმა გადაიარა დაბოცილებზე, თავისი თეთრი, სისხლში შეღებილი ცხენით, შევიდა წმინდა სოფის ტაძარში. დღესაც აქ, ექვსი მეტრის სიმაღლეზე გიჩვენებენ მისი სისხლიანი ხელის ანაბეჭდს. დღეს წმინდა სოფის ტაძარი მუზეუმი, გამოუფენიათ ძველი ბიზანტიური მოზაიკის ნაშთებიც. ბრწყინვალე ტაძარი, ბიზანტიის ბრწყინვალეობის ღირსი ყველა სხვა მეჩრეთები, მათ შორის სულეიმანიე, ასმედით. გარეგნული სილამაზის მიუხედავად, აია-სოფიას გადამღერებას ჰგავანა. თურქეთში მოგზაურობა მთავრდება. ბოსფორზე მიცურავდნენ თეთრი ხომალდები. აქ უნდა ხლი დაჰქიდონ, დიდი ხიდი, რომელიც ორ კონტინენტს შეაერთებს — აზიას და ევროპას.

სულ მაღე სამშობლოსაკენ გამოვემგზავრეთ.

დასასრული. იხ. „დროშა“ № 2.





ქორწილი ხევსურეთში. დეკორატიული პანოს ესკიზი.


## ვესტანბ ჰოქიუჰვიეი



ქ. ტოპოლი (ლიბია).

ქალები საკოლძეურნეო მინდვრებში.





ახლგაზრდა მხატვარმა ვახტანგ ქოქიაშვილმა ქართველი საზოგადოების ყურადღება სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე მიიქცია (ფერწერის ფაკულტეტი, პროფ. ა. ქუთათელაძის სახელსწრის).

ახლგაზრდა მხატვრის ტალანტი განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როდესაც მხნ სამხატვრო გალერეაში მოწუობილ ახლგაზრდა მხატვართა ნაწარმოებების გამოფენაზე წარადგინა თავისი პირველი ნამუშევრები: „ბავშვები მშობლების მოლოდინში“ „ბაკურიანი“, „ქალები საკლემურნეო მინდორში“ ამ სურათებმა მხატვრული მანერის თავისებურებით და კომპოზიციის საინტერესო გადაწყვეტით დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ასევე ორიგინალური იყო თავისი ჩანაფიქრით ვახტანგ ქოქიაშვილის პლაკატები, რომელთა გამოფენა მოეწყო როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

ამას გარდა, ვახტანგ ქოქიაშვილი მუშაობს წიგნის მხატვრულ გაფორმებაზე.

უკანასკნელ ხანებში მხატვარმა ხელი მოჰკიდა დეკორატიულ ტილოებს, რომლებიც გამიზნულია ინტერიერების მოსართავად.

ვახტანგ ქოქიაშვილი ჩვენს რესპუბლიკაში პირველი მხატვარია, რომელმაც გამოიყენა პლასტმასა, შუშა და სხვა ასეთი მასალები. მან შექმნა ფერადი მინის ვიტრაჟები. ეს ნამუშევრები დაამუშვენებო თბილისის მთელ რიგ ინტერიერებს, პირველ რიგში, სასტუმრო „ივერიას“, რომლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება




ბ. ანდროსიკაშვილის პორტრეტი.



ძველი თბილისი (ესკიზი).



# გეგმანი გვინას უკუკეთით



კამოს ქუჩა, 89 — ასეთია მისამართი თბილისის ველოტრეკისა. დღეს იგი ველოტრეკის აკადემიური ცენტრის მრავალრიცხოვან მოყვარულებსა და მაყურებლებს.

და აი, გადაწყვეტილია თბილისის ველოტრეკის ახალი ველოტრეკი. „დროის“ თანამშრომელი ესტუმრა პროექტის ავტორებს და ესაუბრა მათ.

— ეს იქნება უდიდესი სპორტული ნაგებობა, — განაცხადა მთავარმა არქიტექტორმა ნოდარ შოშიტაიშვილმა, — მისი ტრიბუნები 12 ათას კაცს დაიტევს. მასზე შეიძლება მოეწყოს როგორც საკაე-შირო, ისე საერთაშორისო შეჯიბრებანი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სტადიონის სამხრეთის ტრიბუნები განლაგებულია მთის ფერდობზე, რაც მნიშვნელოვანად შეამცირებს მშენებლობის ხარჯებს.

ვიდრე დამაროქტებას დავიწყებდით, გამოცდლების განახიარებლად, რამდენიმე კვირით იტალი-ასა და ფინეთში გავემგზავრე, რათა იქაური სა-თანადო ნაგებობანი შენახს; რომში, როგორც

ცნობილია, აგებულია მსოფლიოში უდამაზესი ვე-ლოტრეკი, სადაც XVII ოლიმპიური თამაშები მიმდინარეობდა. მის სარბიელზე დაგებულია ფი-ცარი, რომელიც აფრიკიდან, სილოს ძვლის ხანა-პიროდან ჩამოუტანიათ.

თბილისის ველოტრეკის სარბიელის მოსაპირე-თებლად ჩვენ გადავწყვიტეთ მერქანი გვინადან შემოვიტანათ. რა უპირატესობა აქვს ასეთ სარ-ბიელს? ჯერ ერთი, ფიცრის „მინდარი“ უფრო მა-გარი და გამძლეა; გარდა ამისა, ასეთ სარბიელზე ველომარბოლი შედარებით უფრო დიდ სიჩქარეს აფრთხილებს, ვიდრე ჩვეულებრივ ასფალტზე.

— თბილისის ველოტრეკის ასაგებად ძირითადად რკინა-ბეტონის ასაწყობ კონსტრუქციებს გამოვიყუ-ენებთ, — ამბობს მთავარი კონსტრუქტორი ევა-ცქვიტინიძე, — ტრეკის სიგრძე 400 მეტრი იქნება, სარბიელის სიგანე — 9 მეტრი. შიდა ფართობი შეიძლება ფეხბურთის სათამაშო მოედნადც გა-გამოვიყენოთ. გარდა ამისა, აქვე შეიძლება მოე-

წყოს კალათბურთედთა, ფრენბურთედთა და მოე-რივეთა შეჯიბრებანი.

საუბარში ჩაერია ინჟინერი ი. კიკნაძე: — ამ ნაგებობის დამაროქტებისას დიდი დახმა-რება გავვიწია სპორტულ საზოგადოებათა კავში-რის სამშენებლო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ნ. რეზნიკოვმა. ჩვენ ერთად ვაწარმოებდით რთულ გამოანგარი-შებებს. სარბიელის ხის „იატაკი“ პერიოდულად გაიფლეთება სპეციალური ხსნარით, რაც მეტ გამძლეობას შემატებს მას. ტრეკზე ყოველგვარი პირობები იქნება შექმნილი სპორტსმენთა შეუ-ფერხებელი ვარჯიშისათვის. პროექტით გათვლი-სწინებულია აიგოს 50 ადგილიანი საერთო სა-ცხოვრებელი, გასახდელი, საშხაპე, ვანეთის, სა-დიოსა და ტელევიზიის შუშაკებისათვის გამოყო-ფილი იქნება ცალკე სამუშაო შენობა.

თბილისის ახალი ველოტრეკის პროექტი მზად არის, ახლა სიტყვა მშენებლებზეა.

# საბათია

ალმოსაგელეთში, მცხუნვარე მზით დამწვარ ერთ ქვეყანაში ცხოვრობ-და ერთი თავმომწონე ყმაწვილი კა-ცი. იგი აზარტულ თამაშს იყო გა-დაყოლილი და ბედიც სწყალობდა. ამით ძალიან გახარებული იყო და ხშირად ტრაბახობდა მეგობრებში. მის სიტყვებს ერთხელ ყური მოჰკრა გამვლელმა დეოვიშმა და უთხრა:

— ნუ იკვები, შეილო! როგორი მოთამაშეც უნდა იყო, ახმედ-ჰუსეინს მაინც ვერ აჯობებ. დღნიაზე ჯერ მისი ბადალი არ განილა, მა-გრამ აბა ნახე რა აქვს მას დასაკე-ვი! — თქვა და განაგრძო გზა...

ჭაბუკს სახე მოედუნა. უქმყო-ფილოდ გააყოლა თვალი დერვიშს. შემდეგ მიატოვა მეგობრები და დე-რვიშს გამოედევნა.

— მითხარი, მოხუციო, რას ნიშნავს შენი სიტყვები? რა დაემართა ახ-მედ-ჰუსეინს?

— მე რა უნდა გითხრა, წადი, შენი თვალით ნახე! შორს არა ცხო-ვრობს. დერვიშმა ყმაწვილს ახმედ-ჰუსეინის ადგილსამყოფელი მიასწავ-ლა.

დერვიშის მინიშნებით ყმაწვილი ქალაქგარეთ, ერთ ძველ ალიზის

ქობს მიადგა. ქობი საცოდავად იყო წაფერდილი, ასე გგონია, საცაა წაი-ტყევიაო. ქობის წინ, ძველ ჰილოზე იჭდა ძონტებში გახვეული მოხუცი მათხოვარი და დამკენარ სახეს შე-მოდგომის მზის სხივებს უშვებდა. უცნობის მოახლოება ვერც კი შეამ-ჩნია.

— ბერიკაცო, ვერ მეტყვი სად ცხოვრობს ახმედ-ჰუსეინი?

მოხუცი უცნობის ხმამ შეაკართო. იგი შეიკმუნხა, ცალი თვალი ოდნავ გაახილა და ცერად შეხედა დაუპა-ტიყებულ სტუმარს:

— აქ ცხოვრობს — ზანტად უპა-სუხა მან.

— სად არის თვითონ? — შეეკით-ხა ყმაწვილი.

— მე თვითონ გახლავარ! მოხუცის პასუხზე ყმაწვილს გაე-ღიმა.

— ნუ ხუმრობ, მე ახმედ-ჰუსეინს ვეძებ, კამათლის უბადალი მოთამა-შეს!

მოხუცმა დამკინავად შეხედა გულ-უბრყვილო ყმაწვილს და უთხრა:

— ჰოდა, აი, იპოვე კიდევ. ახლა მითხარი რამ მოგიყვანა ჩემთან?

— არა, მართალს არ ამბობ, შენ ახმედ-ჰუსეინი არა ხარ. ის ალბათ ზღაპრულ სასახლეში ცხოვრობს, სუ-

ლთან რომ შეჰფერის ისეთ სასახ-ლეში, შენ კი, მათხოვარო, როგორ ბედავ დაიჩემო მისი სახელი! მოხუცმა მწარედ ამოიხარა, მიმქ-რალი თვალები ისევ მიაპყრო ზეცას.

— დამიმტკიცე, რომ შენ ახმედ-ჰუსეინი ხარ! — არ ცხრებოდა ყმაწვილი.

მოხუცი ისევ გარინდებული გას-ცქეროდა ზეცას და პასუხს არ აძ-ლევდა.

მაშინ სტუმარმა ჯიბიდან ოქროს დინარი ამოიღო და მოხუცის დამქ-ქნარ ხელში ჩაღო. ლითონის შეხე-ბისთანავე მოხუცი გამოურკვა. ფულს დააშტერდა. მერე კბილით გასინჯა, ყალბი ზომ არ არისო და წამსვე ჯიბისკენ გაქანა. შემდეგ თავი მალდა აიღო, სტუმარი შეათ-ვალიერა და მიმართა:

— გატყობ მოთამაშე უნდა იყო და, ალბათ, კამათლებიც გეძნება. აბა, მომეცი და დაგიმტკიცებ, რომ მე ის ახმედ-ჰუსეინი ვარ, რომელსაც შენ ეძებ.

ყმაწვილმა დაუყოვნებლივ შესთა-ვაზა კამათლები.

მოხუცმა შეთამაშა ხელში კამათ-ლები და, რაც ძალი და ღონე ჰქონ-და, ქობის ბანზე აისროლა.

— ახლა აღი ზევით და ნახე: შა-ში-სე იქნება დამჯდარი, — მშვიდად უთხრა ჭაბუკს და ისევ თავის ფიქ-რებს მიეცა.

ყმაწვილო მარად აღა ბანზე და მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქო-ნდა, კამათლები ზუსტად შაში-სესს აჩვენებდნენ.

გაოცებული მოაშტერდა კამათ-ლებს და დიდხანს თვალი ვერ მოა-შორა მათ შავ წერტილებს. შემდეგ კამათლები აკრიფა და მოხუცთან დაბრუნდა.

მოხუცმა ჩამოართვა კამათლები და ახლა ქობის წინ რომ შარა გზა გადიოდა, იქით გადაყარა. წადი, ნა-ხე, შამი-ბეში იქნებაო.

გავიდა ყმაწვილი გზაზე, დაჰხედა კამათლებს, მართლაც ასე იყო. ისევ დაბრუნდა მათხოვართან.

მოხუცმა კამათლები უკანმოუხედა-ვად ღია ფანჯრიდან ახლა თავის ქობში შეყარა: შედი ნახე, დორ-ჩა-რიაო.

შევიდა ქობში ყმაწვილი. დარწმუ-ნდა, რომ ეს მათხოვარი მართლაც ის ჯადოქარი ახმედ-ჰუსეინი იყო, რომლის სახელი მთელ ალმოსაე-ლეთს მოსდებოდა.

მიიხედ-მოიხედა ქობში, შეაძრწუ-ნა სიღატაკემ. ლოგინის ნაცვლად რაღაც ძონძები ეყარა კუთხეში, დო-ქიც არა ჰქონდა მოხუცს, წყლის და-სალევი ღოჭი, კოყის ნატეხარი ედ-ვა მიწაზე ისეთი, ძალღებს წყალს რომ ასმევინ.

თავისი კამათლები აღარც აუტრე-ფია. თავზარდაცემული გამოვარდა გარეთ და ისევ გაიქცა შინისაკენ, მოხუცს არც კი გამოეთხოვა.

მათხოვარმა დაცინვით გააყოლა თვალი.

ა. შარვაშიანი

# „ჩეხილ სუთაუნ“

## აქაი განაჩლი

ირანის სეფევიდი შაჰები ქვეშევრდომ მეფეებს, ერთდროულად ქართველ მეფეებს, საკუთარ ხანებს, სხვადასხვა ელჩებსა და მისიებს ლებულობდნენ განთქმულ დიდ პალატა-დარბაზში, რომელსაც „ჩეხილ სუთაუნ“ („ორმოცეტიანი“) ეწოდებოდა. იგი მდებარეობდა ქ. ისპაჰანის ცენტრში, დიდი მიიდანის მეორე მხარეს ალაყაფიდან. მოგზაური ოლქარის მას უწოდებდნენ Tshechil Sütun-ს. ეს იყო ხელმწიფის მისაღები დარბაზი, რომლის შუაგულში მოთავსებული იყო დიდი ბასეინი გამჭვირვალე წყლით და სხვადასხვა ლოტოსებით და ყვავილებით აღსავსე, რომლებიც საამო სურნელს აქმედებდნენ ირგვლივ. ჩეხილ სუთაუნის შესავლის ორივე მხარეს იატაკზე ლომები იყვნენ ფეხებით დაბმული, მათ თითო მცველი ჰყავდათ მიჩენილი. შესავალთან დაჩოქილი იყო აგრეთვე სპილო. ყველა სტუმარს ამ მხეცებს შორის უნდა გაეცლინა, რომლის დროს ლომები იატაკზე წვებოდნენ, თითქოს-და ნახტომისათვის ემზადებოდნენ (მათი აშვება ადვილი იყო), ხოლო სპილო ზეზე წამოდებოდა ხოლმე; მის ზურგზე იჭდა ქაბუტი შუბით ხელში. სახელმწიფო დარბაზის სიღრმეში, ოვალური ფორმის სამი საფეხურიანი ამაღლებულ ადგილზე იჭდა თვითონ შაჰი; ტახტზე ფეხმორთხმული ყანის ირგვლივ, ჩვეულებრივ, დაახლოებით 12 მცველი იდგა. ერთს ხმალი ეჭირა, მეორეს — შუბი, მესამეს — შვილდისარი, მეოთხეს — გრძელტარიანი ყალიონი და ა. შ. თვითუფს თავისი მოვალეობა ჰქონდა.


სახლთუხუცესი ანუ ეშვიკაბასი (ცერემონიალ-მეისტერი) წარუდგენდა შაჰს სასახლეში მისულ პირს ან ელჩს. შაჰი და მისი მინისტრები, მორთულნი ძვირფასი შესამოსელით, ფეხზე არ დგებოდნენ. პირველი მინისტრი ანუ „ეთიმადოფლე“ შაჰისაგან ოდნავ დაშორებით იდგა და მხოლოდ იგი ჩაიბარებდა ელჩის წერილს ან სიგელს და შაჰი ხელით ოდნავ შეეხებოდა მას (რაც ყანის მიერ პატივისცემის გამომტკიცების ექსტად იყო მიჩნეული).

ასე აქვს აღწერილი მაგალითად, პეტრე I-ის ელჩის არტემ ვოლინსკის და მისი ამალის მიღება შაჰ სულთან-ჰუსეინის მიერ 1717 წლის 4 მაისს ამ საელჩოს წევრს ინგლისელ ექიმ-მოგზაურ ჯონ ბელს.2 ამ დროს შაჰის პირველი ვეზირი („ეთიმედოფლე“) ფათალიხანი იყო.

ჩეხილ სუთაუნში მიიღო იმავე სულთან ჰუსეინმა ვიორგი XI 1697 წლის 5 მარტს და ვახტანგ VI 1712 წლის აპრილში. ქართველ მეფეს, ამალის სხვა წევრებთან ერთად, სულხან-საბა ორბელიანიც ახლდა. ორივე მეფესა და მის მხლებლებს სწორედ ჩეხილ სუთაუნში გაუმართა მიღებული წესისამებრ დიდი ნაღიმი ირანის მბრძანებელმა.

ჩეხილ სუთაუნის ყველაზე ვრცელი აღწერილობა და სურათი დაბეჭდილი აქვს კათოლიკე მისიონერ პეტრო ბედიკს. წიგნის სათაურის ზემოთ დიდი არაბული ასოებითაა დაბეჭდილი დარბაზი-პალატის სახელწოდება („ჩეხილ სუთაუნ“), მერე კი ლათინურად.

წიგნის სათაურის ზუსტი თარგმანი ასეთია:



### ჩეხილ სუთაუნ

ანუ აღწერა უსახელოვანესი და უძვირფასესი ორმოცეტიანი სასახლისა სპარსეთში, აღმოსავლეთში, სპარსელების სარწმუნოების, ზნეობის და მათივე ცხოვრების წესრიგის, მეზობელი ხალხებისა და სხვათა შესახებ უფრო ვრცელი მოთხრობის დართვით, ამ უსახელოვანესი ერის შესაფერისი.

#### უაგუსტოესი და უძლეველი ლეიკოლად პირველი სადაში

რომის იმპერატორისა, გერმანიისა, უნგრეთის, ბოჰემიის მეფისა და სხვა და სხვ. დიდად მწყობელი უფალთა უფალი სკლიმენტისადმი,

#### ავტორისაგან,

იმავე უწმინდესი უდიდებულესობის უმდაბლესი და მარადი მოსამსახურისა და ყმისაგან, მაშინ უაგუსტოესი სასახლის კარს მცხოვრებ პეტრე ბედიკისგან, წარჩინებული სპარს-სომეხისაგან, ოდესმე ურბანუს VIII-ის სარწმუნოების გამაგრებელი ღირსპატივდებულ კოლეგიაში სალიტერატურო მეცნიერებებსა და წმინდა თეოლოგიის დარგებში გაზრდილისაგან, შემდგომში კი მრავალ წელს აღმოსავლეთის საქრისტიანოს მნიშვნელოვანი საქმეებისათვის ერთგულ მოღვაწისაგან,

#### თქმული და მიძღვნილი

ოდეს ავსტრიის ბედნიერი მთავარი იშვა (1678). ვენა, ავსტრია, ლეოპოლდ ფაიგტის გამოცემა, უნივერსიტეტის სტამბა.3

წიგნში დაბეჭდილია თვითონ ჩეხილ სუთაუნის სურათიც.

მკითხველი ხედავს, რომ ნაწილობრივ გადახურული დარბაზი-პალატის ორივე მხარეს, შესავალთან მართლაც ლომები და მათი მცველებია გამოსახული. დარბაზის სიღრმეში ტახტზე ზის სულთანი შაჰი (მისი სახე ძალზე ბუნდოვნად ჩანს). სვეტებს შორის ისპაჰანის სამეფო კარის წარჩინებულნი სხედან ფეხმორთხმული.

მოჩანს ბასეინიც პალატის შუაგულში. ამრიგად, ქართველ მკითხველს შეუძლია თვალნათლად წარმოიდგინოს ის ადგილი, სადაც სპარსეთის შაჰებს წარუდგებოდნენ ხოლმე ქართველები და სადაც ვახტანგ VI-სთან ერთად, ნაღიმზე იყო აგრეთვე ჩვენი დიდი საბა. ვაკისენოთ ის ცნობაც, რომ სულთანი შაჰის მიერ ისპაჰანში დაბარებული ვახტანგ V-ე (შაჰნავაზი), რომელსაც გზაზე აცნობეს, რომ ყანი მისვლისთანავე ლომებს

მიუგდებს შენ თავსო, ქ. ხოშარში გარდაიცვალა (ალბათ, თავი მოიკლა).

სურათზე ხედავთ ირანის ყანის ერთგულ მხეცებსაც.

ჩვენ კარგად წარმოვიდგინოთ ირანე ნათლისმცემლის მონასტრის ბერი, სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც ორჯერ მოუხდა ყოფნა ისპაჰანში (1711 და 1712 წლებში); უეჭველია, იგი ზიზლით შეპყრებდა ირანის მბრძანებლის შაჰ სულთან-ჰუსეინის სასახლეს და იქაურ გარემოცვას. აქი ამ სულთან-ჰუსეინის და მისი მექრთამე დიდებულების, უწინარეს ყოვლისა, პრემიერ-მინისტრ ფათალი ხანის მადის „დასაკმაყოფილებლად“ სთხოვა სულხან-საბამ ლუი XIV-ს 300.000 ეკიუ.

### შენიშვნები

1. Олеарий, 729. მოგზაური აქ მოკლედ ჰყვება შენობის ისტორიას. ჩეხილ სუთაუნი დაუნგრევია თითქოს თემურ-ლენგს, მაგრამ შაჰ აბას I ისევე აუშენებია და თავის რეზიდენციად გაუხდია (იქვე).

2. Белевы путешествия... 88—93.


3. თარგმანი ჩვენი თხოვნით შეასრულა ფილ. მეცნ. კანდ. ალ. გამყრელიძემ, რომელსაც გულითად მადლობას ვუძღვნი.

აქვე ერთი შენიშვნაც: როგორც ითქვა, სახელწოდება „ჩეხილ სუთაუნ“ ნიშნავს „ორმოცეტიანს“. არსებითად ეს სახელი სახელმწიფო დარბაზს იმითმე ეწოდება, რომ მის 20 სვეტს არეკლავდა ბასეინი. პ. ბედიკის სურათზე კი გამოსახულია დაახლოებით 40 სვეტი, რაც მხატვრის შეცდომას უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება თვითონ წიგნის ავტორს პ. ბედიკს, მისი შრომიდან ჩანს რომ იგი სომეხი ყოფილა. ამ ცნობაზე დაყრდნობით მ. თამარაშვილი წერს:

„მისი უწინდელი სახელი მანუკ ავეტიკი იყო, რომელიც ბავშვობიდანვე წახულია სპარსეთიდან რომსა, საცა სწავლა დაუსრულებია და შემდგომ უცხოვრია ვენაში. იქიდან სპარსეთს გაჰყოლია მათე არქიებისკომოსს, რომელსაც პაპის წიგნი მოჰქონდა შაჰთან (იგივე: სულიმანი, ა. გ.). იგი (პ. ბედიკი) დარჩა სპარსეთში 1672-დან 1676 წლამდე. ხოლო თავისი აღწერილობა გამოსცა ვენაში 1678 წელს. მან აქ (ირანში, ა. გ.) მეფე ერეკლე პირველიც ნახა“ (მ. თამარაშვილი, 242). მ. თამარაშვილის მოტანილი აქვს ფრაგმენტი ერეკლე I ნაზარალიხანზე, მაგრამ ბედიკს უფრო ვრცელად აქვს ქართლის მომავალ მეფეზე მოთხრობილი (გვ. 486-448).

# ქართული სპეციალი



მეტემსიქოსს, მისტიკურ რწმენას, რომლის მიხედვითაც თითქოს სული, ერთი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ გადასახლება ხოლმე მეორის ორგანიზმში — ძველთაძველი ისტორია აქვს. ის დასაბამს იღებს პირველყოფილი ადამიანის ანიმისტურ წარმოდგენებში. შემდეგ მას ვხვდებით ანტიკურ საბერძნეთში (ორფიკულთა მისტიკები, პითაგორეს მოძღვრება); გარდა ამისა, იგი, როგორც შემადგენელი ნაწილი შედის ბუდიზმისა და ბრამინიზმის რელიგიურ მოძღვრებებში. კაცობრიობის მოწინავე მოაზროვნეებმა უკვე დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ მეტემსიქოზი, როგორც ყოველი რელიგიური-მისტიკური რწმენა, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და დასაყრდენს. უკვე მეცხრამეტე საუკუნეში მას მხოლოდ სასაცილოდ თუ გაიხსენებდნენ ხოლმე. ახე, მაგალითად, ჰაინრიხ ჰაინე, კუნძულ ნორდენაიზე ყოფნის დროს, ხუმრობდა — ვინ იცის ახლა რომელ ჩინოვნიკს უდგას იულიუს კეისერის სული, ხოლო ჩინგისხანის სული უეჭველად რომელიმე ავი რეცენზენტის სხეულშია დაბუდებული.

ძნელი დასაჭერებელია, რომ ჩვენს დროში ვისმეს შეიძლება სწამდეს სულთა ასეთი გადასახლება; მით უმეტეს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, მეტემსიქოსს თვით უძველესი ქართული წარმართული რელიგია არ იცნობს. ჩვენში, ოდესღაც სწამდათ, რომ შეიძლება, ვთქვათ, წყალში დამხრჩვალის სულის გამოძახება, მაგრამ მისი ჩასახლება ახალ სხეულში — ქართული წარმართობისათვისაც უცხო იყო. სწორედ ამიტომ მას გადმონაშთსაც კი ვერ დავუძახებთ. გადმონაშთი შეიძლება ჰქონდეს მას, რაც სწამდათ, სჯეროდათ. ასეთ რამეს კი არც ჩვენი ძველი წერილობითი წყაროები და არც ზეპირი გადმოცემები არ ადასტურებენ.

მით უფრო მეტ გაცეცხას იწვევს ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგიხსენებო.

\* \* \*

სოფელი დიხაზურგა ზემოდან გადმოსცქერის ენგურის თვალწარმტაც მიდამოებს.

ივნისის ცხელი დღე იყო. სოფლის შუაგულში, ერთი სახლის ეზოში აუარებელი ხალხი ირეოდა, ისმოდა მოთქმისა და ტირილის ხმა; ფართო ოთახის შუაგულში, ხალიჩადაფარებულ ხის ტახტზე, წყალში დამხრჩვალის ახალგაზრდა კაცის ცხედარი ესვენა.

ყვავილებით მორთულ კუბოსთავთან თაფლის სანთელი ბუხუტავდა. ცხედრის გარშემო, სკამებზე, ძაბითმოსილი დედაკაცები ჩამოსხდარიყვნენ. როგორც კი ჩამოსხნილ ჭიშკარს ძაძებში გამოწყობილ ქალთა ახალი ჯგუფი კვილით მოუახლოვდებოდა, შუახანს მიღწეული, თმაჩამოშლილი ქალი, მიცვალებულის დაი ქეთო „ვაით“ და „ვიით“ ზეწამოიჭრებოდა, ხელებს ცისკენ აღაპყრობდა და ხმამაღლა გაიძახოდა.

— არა, არ დაიჭროთ... ჩემს ძმას ერთი კი არა, ცხრა ენგურიც ვერ დახრჩობდა. ის მოჰკლეს და მორევში გადააგდეს. წუხელ ანგელოსი გამომეცხადა და მითხრა, ნუგზარის სული მოგვეღინებათ და ყველაფერს თითონ იტყვისო... მოდი, ნუგზარ, გვითხარი ვინ დაგლუპა, ძმაო, ვინ გამოგვჭრა ყელი.

— ღმერთო, ეს რა მესმის! — ჩურჩულობდა კუთხეში მდგარი მანდილოსანი, რომელიც თვალს ვერ აშორებდა მომტირალს. ქეთო კი განაგრძობდა:

— მტრის მეთი ჩვენს ოჯახს ცეცხლს ვინ წაუცილებდა!  
— ვაი შენს დედას უბედურს, ჩვენო ნუგზარ! — ამოვიგინა ვილაკამ.  
— მიწას რომ მიაბარებთ, მეორე დღეს მხიარული ფერის ტანსაცმელი ჩაიცვიო, მითხრა ანგელოსმა, — განაგრძობდა მოტირალი, — ენგურზე რომ გამოხვალთ, ცრემლი არ დადვაროთ, თორემ გამოცხადებული სული დაფრთხება და დაშინდება.

— გესმის, კაცო? — მხარი ჰკრა ერთმა მეორეს.  
— აა, როგორ გეგონათ, — თქვა ღრმად მოხუცებულმა ქალმა, — ღმერთი არ არისო, ლოცვა-კურთხევა არ გვინდაო, სული არ არსებობსო... აგერ თუ არ არსებობს!

როგორც კი მოთქმა და წივილ-კვილი ოდნავ მიწყნარდა, ღია კარში თერ კაბაში გამოწყობილი ფერმკრთალი გოგონა გამოჩნდა, თავზე მოხვეული ღარაია შეათამაშა, ცერზე შემდგარი მიუახლოვდა ცხედარს, მაგიდიდან სუნამოს ბოთლი აიღო, ცერი თითი მიცვალებულს შუბლზე შეახო, ღარაიას ტოტი თმაზე გადაუშვა, შემდეგ წუთით გაქვადა, რაღაც წიაბუტბუტა და ოთახიდან ქარივით გავარდა. ეს მზევიანარი იყო, მეზობლის გოგონა.

— ამას რაღა უნდა?  
— ეს განგების ძალით მოხდება, განგების ძალით! — კიოდა მიცვალებულის დაი.

დღე იწურებოდა, მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, ხალხი აფუსფუსდა, ნელ-ნელა წამოიშალა და შუკაზე გამოფინა. სახლიდან ჭირისფულები გამოიყვანეს, კუბო გამოიტანეს და მალე სამგლოვიარო პარცესიაც თქმარა.

ზე გავიდა. ღრმად ჩაფიქრებული ხალხი მღუპარედ, თავდახრილი მიაცილებდა ცხედარს.

პარცესია აღმართს აპყვა. წელან გაუჩინარებული თეთრკაბიანი გოგონა, ახლა ბუჩქებიდან გამოიჭრა, ნარბენსა და დაქანცულს სახეზე აღმური ასდოდა, თვლებს უაზროდ აციცებდა.

— ეს გოგო ავად ხომ არ არის? — იკითხა ერთმა.

— მწარედ განიცდის, წუხს — უპასუხეს მას.

— ნუგზარის ხელში გაიზარდა! — დაუმატა მეორემ.

წინა რიგს რომ მიუახლოვდა, მზევიანარმა ნაბიჯი შეანელა, თვალზე ხელი მოიჩრდილა და შეჩერდა. მიცვალებული ახლად გაჭრილი სამარის გვერდით დასვენეს და ჭირისფულთა კვილიც ცას მიწვდა. დედა და დამეები ძლივს აგლიჯეს ცხედარს და ის იყო, კუბოსთვის თავი უნდა დაეხურათ, როცა მზევიანარმა ხელები გაშალა და მთელი ხმით დაიძახა:

— ერთი წუთიც დააცადეთ, სულს გავს ნუ დაუკეტავთ!

გაოგნებული ხალხი მზევიანარს მიჩერდა. გოგონა საფლავს ჩააკვირდა, შეტოკდა, მერე მუხლებში ჩაიკეცა, ირგვლივ შემოჭარულთ ხელებით ანიშნა — ზემომეტყლოთო.

— გვა, გვა მიეცით ნუგზარის სულს! — თქვა და მიწაზე გაიშოკა, აწითლებული, ცრემლით სავსე თვლები ჩამავალ მზეს მიაპყრო.

იღუმალი, შიშით შეპყრობილი ხალხი ფხვის მონაცვლებას ვერ ახერხებდა.

— ზეწარი — წამოიყვირა ვილაკამ.

საიდან იყო, საიდან არა, გაშოტილს ზეწარი გადააფარეს.

ჭირისფულები მზევიანარისაკენ დაიხარნენ. გარდაცვლილის დამ გოგონას გულზე ყური დაადო.

— განგებაა, ხალხო, ჩემი ძმის სული მზევიანარის სხეულში გადავიდა! — წამოიძახა და შემულივით წამოვარდა.

ზეწარგადაფარებული გოგონა მთელი სხეულით ცახცახებდა, ბორბავდა, იგრინებოდა. ბოლოს ოდნავ დაწყნარდა და კვნესით წარმოთქვა:

— რა გინდოდათ, რისთვის მეძახოდით?

— ძმაო, ნუგზარ, გვითხარი რამე! — ნუგზარის მახლობლები მიწაზე გაშოტილ გოგონას შემოეხვივნენ.

— სი-ჩუ-მე!

— დახეთ, ნუგზარის სული ალაპარაკდა!

„დახა, მე ვარ, ნუგზარი. დაო, ქეთო! მე შენი ქმრის ნათესავმა მომკლა; ენგურის პირას გამოტყუა, ქურდულად ქვა დამკრა, მერე წყალში გადამაგდო. ხვალ დილით იქ მოდი, სადაც დამხვრჩალი მიპოვებ, მკვლელის სახელს იქ გეტყვით, ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებით, მხოლოდ ენგურამდე ფეხით ჩამოდი. მზევიანარმა ჩონგური დაუკრას, ჩემმა ძმებმა სიმღერა დაიწყონ და მე ისევ მზევიანარის სხეულში გადავსახლდები; არ დაგავიწყდეთ, თან ჩვენი მებუფებე წამოიყვანეთ, სამსონიც წამოვიდეს, ისინი ჩემს ნათქვამს დაადასტურებენ...“

„ახლა კი დავიღალე, მზემ შემაწუხა, მომასვენეთ. ხვალ ენგურზე შევხვდებით ერთმანეთს. მზევიანარს კაბა არ გამოუცვალოთ, სინნელეში ყოფნამ გამაბრუა და შეიძლება შემეშალოს.“

— კარგი, შეილო!

— შევასრულებთ, ძმაო! — გაისმა სამარის თავზე.

მიცვალებულის ხმა მიწვდა. მზევიანარმა ზეწარი მოიშორა, დახუჭული თვლები გაახილა და წამოდგა.

მეორე დღეს მდინარის პირს აუარებელი ხალხი მოაწყდა, სულ მალე ოდა-სახლიდან თეთრ, ქათქათა კაბაში გამოწყობილი მზევიანარი გამოვიდა, ხელში ჩონგური ეჭირა, გვერდით ნუგზარის ძმები მოსდევდნენ, უკან — ნუგზარის დედა და დაი.

უკან დარჩა ვიწრო შუკა; ენგურისკენ მიმავალ ბილიკს რომ დაადგნენ, მზევიანარმა ჩონგური აახშიანა და მიდამოს ურუოლასავით გადაუარა სიმღერის ხმამ — „ახე ჩონგური ქოფთქუათი, სკან დო ჩქიმი გაჭირება“ („ახლა ჩონგური ვთქვათ, ჩემი და შენი გაჭირება“); მზევიანარს ხანს აძლევენ ნუგზარის ძმები, რომლებსაც სოფელივებიც აპყვენენ.

მკვდრის სულის „ამეტყველების“ ამბავი სოფელ ჭუბურხინჯშიც მისულიყო. მცხოვრებლებს სამუშაოსათვის თავი მიენებებინათ, ზოგი ცხენზე ამხედრებული, ზოგიც ქვეითად წამოსულიყო. ენგურისაკენ მიმავალ ხალხს სულ ახალ-ახალი ნაკადი ემატებოდა. შვიდი კილომეტრი „ტაშ-ვარადათი“ განვლეს დიხაზურგელებმა და ჭუბურხინჯელებმა; ბოლოს ენგურის ნაპირებიც გამოჩნდა.

წინმიმავალმა მზევიანარმა ჩონგური ქვეშაზე დადო, დარჩა გადააფარა, ფხსაცმელი გაიხადა და მდინარეში შევიდა. პირზე წყალი შეისხა, თმა ოდნავ დაისველა. მას ხარბედიბმაც მიბამეს. მერე ნაპირს ოთხი ქალიშვილი მიუახლოვდა, წყლიდან გამოსული მზევიანარი მკლავებზე გადაიწვივნეს და თვალბედაბუჭულ გოგონას ზეწარი გადააფარეს.

10-3169

სმას არავინ იღებდა. ბოლოს მწვეინარი შეტოვდა და მიცვალებული „ნუგზარის სულმა“ ლაპარაკი დაიწყო:

— მომიახლოვდეს სამსონი!  
ფერწახლელ სამსონს მუხლებზე აუკანადა, სახეზე სიწერის ოფლმა დაახ-  
სა, ნაბიჯი გადადგა, მუხლებზე დავარდა და ოდნავ გასაგონი ხმით თქვა:

— გისმენ, ნუგზარი!  
— სამსონი!  
— ბატონო!

— შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ. არ შეგეშალო, ბიჭო, ხმა რომ დამიწვ-  
რილდა, ეს სიკვდილის ბრალია!

— როგორ გეკადრება, ბატონო!  
— ხომ გახსოვს სახადილოში პური რომ ვჭამეთ?  
— კი ბატონო!

— გარეთ გამოსულს ღუტუ დავაშურა რომ ამეღევნა, გახსოვს?  
— დედა, რა ვქნა, ბიჭო ნუგზარია, ამ დასავსებ თვალებს ღუტუ რომ

არ უნახავს, როგორ ვთქვა ამხელა ტყუილი. მომკალი ნუგზარია და ტყუილს  
ნუ მათქმევინებ!

— გამშორდი ასეც ვიცოდი, არასამედო კაცი იყავი!  
სამსონი ძლივს გასწორდა წელში და ბუჩქებისაკენ წავიდა.

— ნუგზარის სულ, მებუფეტის არ დაუძახებ? — თავის ხმაზე წამოი-  
ძახა მწვეინარმა.

— ვხედავ, აქ არის, თხოვეთ, ახლოს მოვიდეს!  
ქალიშვილებს მებუფეტე მიუახლოვდა.

— გისმენ, ბიძიკო!  
— პური ხომ შენთან ვჭამეთ მე და სამსონმა?  
— კი კირიმე.

— მაშინ ისიც უნდა დაგენახა — ღუტუმ სახადილოდან რომ გამოიხმო!  
— მე, მე? — ენა დაება მებუფეტეს, — ცოლ-შვილს, შვილიშვილებს,

ყველას, ცოცხალს და მკვდარს, ვინც გამაჩნია, გეციტები, ღუტუსთვის თვალი  
არ მომეკრავს. რად გინდა მოხუც კაცს ცოლგაში ფეხს რომ შადგმევინებ.

არ მინახავს, ბიძია, შენი ხულის ჭირიმე. არ მინახავს და როგორ ვთქვა?  
ჩემს ჭლარას ან შეფერის, ბიძია, ასეთი რამე!

„დედა, დაო და ძმებო, ხედავთ რას ჩადის ეს ხალხი ჩემს მკვლელს ხელს  
აფარებენ... იცოდეთ ყველამ, რომ მე მომკლა ღუტუ დავაშურამ“.


გაქვავებული ხალხი შეტოვდა, თითქოს მძიმე ლოდი მოიშორაო გული-  
დან, ერთი ღრმად ამოიხარა და სოფლისაკენ პირი იბრუნა. მწვეინარი ფეხზე  
წამოდგა, ჩამოშლილი თმა გაისწორა, დარაია შემოიხვია და მიმავლებს ნელი  
ნაბიჯით გაჰყვა.

ამ ამბებიდან ერთი კვირის შემდეგ რესპუბლიკის მილიციის სამმართვე-  
ლოში ხაჩივარი მოვიდა, რომელსაც ხელს აწერდნენ ნუგზარ ხარბედიას ახ-  
ლო ნათესავები.

მომჩივანნი განცხადებაში ბრალს სდებდნენ რაიონის პროკურატურისა და  
მილიციის მუშაკებს, თითქოს ისინი უგულისყურად მოეციდნენ საქმეს,  
დაეუარდნენ ექსპერტიზის ყალბ დასკვნას და მკვლელი ხელიდან გაუშვეს.

საქმის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით რაიონში გაემგზავრა რესპუბ-  
ლიკის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამეტბრო განყოფი-  
ლების უფროსი ოპერატიული მუშაკი, პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ რამაზა-  
შვილი.

### შალა შალაა



ბალნარი ვარ, ვაზნარი ვარ,  
სიცოცხლე ვარ ულვევი,  
მე ბერუმის ზღაპარი ვარ,  
ტკბილად ნაწურულევი.  
მე სახელად მქვია ხულო,  
ცა შვეიდობის დამყურებს,  
სიყვარულო, სიხარულო,  
ჩემთან დაისადგურეთ!  
ვერ გამაბმო ქართველიმა,  
კვლავ აჩქეფდა მჭარო,  
მარგალიტის ნატეხი ვარ  
აყვავებულ აპარის.  
ბალ-ვენახებს გადახუნძლულთ,  
მთებს, რომ მარად არ სძინავთ,  
უწოვით ქართლის ძუძუ,  
ზრდილა მისი ნანინა.  
მე სახელად მქვია ხულო,  
ცა შვეიდობის დამყურებს,  
სიყვარულო, სიხარულო,  
ჩემთან დაისადგურეთ!

ჩახვლისთანავე პოდპოლკოვნიკმა გულდასმით დაათვალიერა შემთხვევის  
„დელი და გაეცნო მასალებს; მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა: იმ დღეს,  
როცა ეს ტრაგიკული ამბავი მოხდა, ენგურის მშენებლობის მუშაზე ნუგ-  
ზარ ხარბედიამ შესვენებამდე რკინა-ბეტონის ხსნარის მოსამზადებლად წყა-  
ლი მოიმარაგა, შემდეგ ბუფეტში ისადილა, ამხანაგებს დაშორდა და სად-  
ღაც წავიდა.

შუადღისას ვიდაც გზადმივაღმა მგზავრმა ენგურში კაცის გვამი შეამ-  
ჩინა და უვირილი დაიწყო. შემთხვევის ადგილს დიდალი ხალხი მოაწყო,  
მადე მათ რაიონის პროკურორი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მუშა-  
კები და მილიციის თანამშრომლები შეუერთდნენ.

როგორც ასეთი შემთხვევებისას ხდება, ხარბედიას დაღუპვის გამო, აღი-  
რა სისხლის სამართლის საქმე. გვამის სამედიცინო გამოკვლევამ დაადგინა,  
რომ სიკვდილის უშუალო მიზეზი იყო ასფიქსია-მოხრჩობა, რომ წყალში მო-  
ვადრისას დაწარბებული სუნთქავდა და ის დაწინებდა, რაც მას სახეზე ემ-  
ჩნეოდა, ადეილად შეიძლება აგონიის პერიოდში მიეღო. გამოძიებას არც  
სანაპიროს გულდასმით დათვალიერებამ მისცა ხელშესახები მასალა. ცხადი  
იყო, რომ საქმე ვაქონდა უბედურ შემთხვევასთან.

— შეხედეთ, აი იმ ქვანთ სისხლის წვეთებია! — თავისას არ იშლიდნენ  
დამხრჩვალის დაძმები.

ჭირისუფალთა მოთხოვნით ამოიღეს ქვა, მოყვითალო ფერის ლაქა რომ  
აჩნდა და მასზე ხარბედიას სისხლის წვეთების აღმოჩენის მიზნით, ბიოლო-  
გიური ექსპერტიზა ჩატარეს, რომელმაც გამოძიებას დადებითი პასუხი ვერ  
მისცა. და, დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო, სისხლის სამართლის  
საქმე წარმოებით შეწყდა.

— სისხლი არ დაიმალეხა, ვიცით მკვლელი ვინც არის! — მანც თავი-  
სას გაიძახოდნენ ჭირისუფლები.

მაგიდასთან შეგებში ჩაცმული ქალი იჯდა. პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი  
აღღვებული მიმოდინდა ოთახში.

— მე მოვითხოვ პასუხისგებაში მისცეთ ჩემი ძმის მკვლელი! — გაიძა-  
ხოდა ქალი.

— საფუძველი?  
— მეტი რაღა საფუძველი გინდათ, კაცი საფლავში წევს.

— გამოგონეთ ქალბატონო რაიონის პროკურატურამ ყველაფერი გააკე-  
თა იმისათვის, რომ რაიმე ხელშეწყობი აღმოჩინა, მაგრამ რაც არ არსე-  
ბობს, იმას ვერც იპოვნი. თქვენ კი რა ჩაიდინეთ? გინდოდათ უდანაშაუ-  
ლო კაცისათვის მკვლელობა დაგებრალბინათ, ან პატარა გოგოს რა საქმე  
დამართეთ?

— ვინ გოგოს? — გაიოცა მიცვალებულის დამ.  
— ვის და მწვეინარს, მეზობლის გოგოს.

— მე არავითარი მწვეინარი არ ვიცი.  
— ძალიან კარგად იცით, სად არის ახლა ის გოგონა?  
— არაფერი არ ვიცი.

— მე კი ვიცი. მწვეინარი თქვენ მეორე დღეს გახიზნეთ, ხმა დაუარეთ,  
რუსეთში სამკურნალოდ წაიყვანესო. მე კი ვნახე იგი, რუსეთში კი არა, სოსუ-  
ში... უკვე კარგად გრძნობს თავს, შეხედეთ როგორი გარკვეული ხელით  
წერს, — პოდპოლკოვნიკმა მანდილოსანს მწვეინარის ახსნა-განმარტება დაუ-  
დლო წინ, — წაიკითხეთ, აქ წერია, როგორ მოხიზნეთ იგი თეთრი კაბით, და-  
რიათი და თეთრი ფეხსაცმელით, როგორ ჩაგონეთ ეს სისულელეები. თქვენ  
ესეც არ აკმარეთ მას, დაიყოლიეთ მისი მოზღვრები და მცირეწლოვანი სკო-  
ლას მოწვევით. შეიძლება ადამიანი ასე შეუბრალბლად მოექცეს ბავშვის?  
ქალი ატირდა.

— შეგიძლიათ მიბრძანდეთ! — თქვა პოდპოლკოვნიკმა და თვალი გაა-  
ყოლა ძაძვში ჩაცმულ ქალს, რომელიც ლახლახით გავიდა ოთახიდან.

რამაზაშვილი ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო, ენგურიდან მაცოცხ-  
ლებელმა ნიავმა დახმერა, მთის კორტონიდან აფეთქებების გრიალი ისმოდა.

ამით დამთავრდა მთელი ეს უცნაური საქმე.  
დესახრულს კიდევ ორიოდე სიტყვა; ყველაფერი რომ ბოლომდე გახა-  
გები გახდეს, ამისთვის საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ უდანაშაულოდ ბრალ-  
დადებული ღუტუ დავაშურა ქეთოს ქმრის ახლობელი გახლავთ, მისი ნათე-  
სავი.

თავიდანვე რაღაცაზე შეიძლებს მათ ერთი-მეორე, ბოლოს ყველაფერი  
იმიტ დამთავრდა, რომ ოჯახებს შორის მტრობა ჩამოვარდა.

ქალი დღედაღამ შურისძიებაზე ფიქრობდა, და როცა შემთხვევა მიეცა,  
ნუგზარი ენგურში დაიხრჩო, მოექცა ამ სახაბს და საძულველი ადამიანი-  
სათვის ანგარიშის გასწორების მიზნით მოაწყო ეს სექტაკალი, რომელიც  
აქადმყოფური ფანტაზიის ადამიანის ბოდვას მგავს.

სოფლებები? ისინი სადღა იყვნენ? დინაზურა — მოწინავე სოფელია.  
რატომ მაშინ მანც არ დაუშალებს მოცვალებულის დაძმებს, როცა მათ ენ-  
გურის პირზე წაიყვანეს მეზობლები?

ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ყველა იქ მყოფს ხეიროდა სულთა  
გადასახლებობს ამბავი; ცხადია, უმრავლესობა სერიის საყურებლად იყო წა-  
ხული. მანც საკითხავია — რა მოსაგონი იყო ეს, ან რა საყურებელია ასეთი  
უცნაური ტრაგიკომედია?!

## დღეს სირას ვაფსიოტო

საციკო ხელოვნებას ათასწლეული წლები ისტორია აქვს; პირველი, დღესათვის ცნობილი დოკუმენტი, რომელიც ამ ხელოვნების ოსტატებზე მოგვითხრობს — ესაა ძველვეგიპტურ პაპირუსი. მასში ლაპარაკია მოხატული ილუზიონისტებზე, რომლებიც ეგვიპტის ფარაონის — ხეოფსის დროს მართავდნენ წარმოდგენებს. ეს იყო 2.900 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

მას შემდეგ, თითქმის ხუთი ათასი წლის მანძილზე კაცობრიობა ხალხით გტანება ამ სანახაობას.

ჩვენს ქვეყნის „ჭრელ-ჭრელი ამბების“ განყოფილებას ამ ნომერში ცირკს ვუთმობ.

მას ასე, ჩვენს მკითხველებთან ერთად დღეს ცირკში მივდივართ. ვინაშე უმეტეს ხელოვნების ამ დარგის გამოჩენილი ოსტატებს, არა მარტო ჩვენს თანამედროვეებს, არამედ ინათაც, ვისაც ასეული წლების წინ უცხოვრია.



## ილუზიონისტი ძველის დასაპრობა

ფრანგებმა ალჟირის დაპყრობა 1830 წლიდან დაიწყეს. იმპერატორი ნაპოლეონ III ყოველ ღონეს ხმარობდა გატყუება ალჟირელთა წინააღმდეგობა და ეს ქვეყანა საფრანგეთის კოლონიად ექცია. და აი, იმპერატორის ბრძანებით, ალჟირში გაგზავნეს ცნობილი ილუზიონისტი რობერ-უდენი, რომელსაც დაავალეს, თავისი „ჯადოქრული ნომრებით“ ისე განეცხადებინა და დაეშინებინა არაბები, რომ მათ წინააღმდეგობის გაწვევა ვეღარ გაებდათ.

ალჟირში, წარმოდგენის დაწყებისთანავე, რობერ-უდენი შეეკითხა მსურველებს — არის თუ არა თქვენს შორის ვინმე, რომელმაც ძალიან კარგად იცის ყურანი. არენაზე გამოვიდა მოხუცი არაბი. მან თქვა, რომ იგი რამდენჯერმე იყო მქაშში და ორმოცი წელია, რაც ბუღმოდგინედ სწავლობს ყურანს.

ილუზიონისტმა ხელში აიღო ყურანი და მოხუცს კითხა, შეუძლია თუ არა მას შეპირად თქვას ის, რაც წიგნის ამა თუ იმ გვერდზე სწერია. მოხუცმა უარის ნიშნად თავი გააქანა: „ეს არავის არ შეეძლება“. „მე შემიძლია!“ — უპასუხა რობერ-უდენმა. ილუზიონისტმა თავზე ჩაღმა დაიხურა, დასწრებებს ყურანის რამდენიმე ეგზემპლარი დაურთავა და წინადადება მისცა, თავიანთი სურვილის მიხედვით დაესახელებინათ წიგნის გვერდები. დასწრებები გაოგნებულნი დარჩნენ, როცა დარწმუნდნენ, რომ რობერ-უდენი მათ მიერ დასახელებული გვერდებიდან ზეპირად წარმოთქამდა ყურანის ყველა ლექსს.

შემდეგ ილუზიონისტმა არენაზე გამოიყვანა ძაღლი და თქვა:

— ეს არის ადამიანი, რომელიც არ მემორჩილებოდა მე, ყოვლისშემძლე ჯადოქარს, ამიტომ მე ის ძაღლად ვაქციე. შემდეგ იგი ძაღლს მიუბრუნდა:

— შაითან, აბა შენ თითონ მოუყვები ყველაფერი ამ ხალხს!

ძაღლმა სუფთა არაბული ენით დაიწყო ლაპარაკი და გაოცებულ მსურველებს უთხრა: აი, ხედავთ რა დამეშაბათა ურჩობისათვის, იცოდეთ, ფრანგებზე ძლიერი ქვეყნად არავინ არის, მათს წინააღმდეგ ბრძოლა ამაოა!

ერთი ახალგაზრდა არაბი, ამის გაგონებაზე წამოხტა ადგილიდან, ქაშაშში გარკობილი რვეოლევი იძრო და ილუზი-

ონისტს დაუმისხა. „შეჩერდი! — ხელის აწვეთი შეჩერა იგი რობერ-უდენმა, — ყველამ როდი იცის, რითი არის გატყუებული შენი იარაღი! აი აქ ორი პისტოლეტი, აირჩიე რომელიც გინდა, ყველას თვალწინ გასტყე და ისე მესროლე!“

არაბმა აარჩია ტყვია, შედ დანით ჭდე გაუკეთა, პისტოლეტში ჩაღო და ილუზიონისტს დაუმისხა. რობერ-უდენი მზვიდად იდგა. გაისმა სროლის ხმა... ილუზიონისტი ისევ მზვიდად იდგა და პირში ჭდე-დასმული ნასროლი ტყვია ეჭირა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო! თავზარდაცემული დამსწრეები ადგილიდან წამოხტნენ რა კარებს მიაწყდნენ.

რა გზით აღწვედა ილუზიონისტი ამ ეშვებებს?

ჩაღმაში, რომელიც ილუზიონისტმა დაიხურა, მოთავსებული იყო აკუსტიკური მილი. როცა დამსწრეები ყურანის რომელიმე გვერდს დასახელებდნენ, კულისებში მყოფი ასისტენტი გადაშლიდა ადრინშულ გვერდს და ხმაშალა კითხულობდა ტექსტს, რომელიც აკუსტიკური მილის საშუალებით გარკვევით ესმოდა რობერ-უდენს.

იმევე მილის საშუალებით ასისტენტი ლაპარაკობდა ძაღლის ნაცვლად.

რობერ-უდენი შემდეგ ოაზისებში გაემგზავრა და იქ აწყობდა წარმოდგენებს.

როგორც ცნობილია, საბოლოოდ ვერაფერმა ვერ გასჭრა — ალჟირი დღეს თავისუფალი სახელმწიფოა.



## ილუზიონისტი და შეზინებაული მფხვავი

1779 წელი. პეტერბურგი. აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა ცნობილი იტალიელი ილუზიონისტი პინეტი; იგი წარმოდგენებს მართავდა პეტერბურგის არისტოკრატიულ სასახლეებში, ბოლოს პავლე პირველს წარუდგინა.

პინეტი იმპერატორს განუცხადა, რომ მას შეუძლიან დაეკეთონ კარში გაიაროს; გადაწყვიტეს გამოეცადათ იგი და წინადადება მისცეს, მეორე დღეს ქონორარის მისაღებად მისულიყო მეფის სასახლეში. დანიშნული საათისათვის სასახლის ყველა კარი მაგრად დაკეტეს და გასაღებები მეფეს მადიდაზე დაუღაგეს.

11 საათსა და 55 წუთზე სასახლის კიშკრის ღრითში შემოაფრინეს პოლიციის დეპარტამენტის უფროსის დეპუტატი: „პინეტი სახლიდან არ გამოსულა“, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ კი პინეტი მეფის კაბინეტში შედიოდა.

— თქვენ ძალიან საშიში კაცი ყოფილხართ! — უთხრა გაოცებულმა მეფემ ილუზიონისტს.

— ყველაფერი ეს თქვენს გასართობად გააკეთე, თქვენი უდიდებულესობაგ!

— როდის აპირებთ პეტერბურგიდან წასვლას?

— ერთი კვირის შემდეგ.

წასვლის წინ პინეტიმ გააფრთხილა მეფე, რომ ზეალ, შუადღისა იგი გაივლის, ერთსა და იმავე დროს, პეტერბურგის თხუთმეტსავე საქალაქო ჭიშკარში. ეს ხმა გაგრძელდა და აუარბებელი ხალხი მოგროვდა ქალაქის ჭიშკრებთან. მოხუცნებაში, რომელიც პოლიციამ მეფეს წარუდგინა, აღნიშნული იყო, რომ პინეტის პასპორტი რეგისტრირებული იყო თხუთმეტსავე საპოლიციო საგუბარში.

პრუსიის მეფემ ფრიდრიხ მეორემ პინეტი თავის სასახლეში მიიწვია, მაგრამ მალე შეშინდა და დაითხოვა. მისმა მეგობრებმა — ფრიდრიხ ვილჰელმ მეორემ ცალკე მიიწვია პინეტი და უბოძა „სასახლის ფიზიკოსის“ ტიტული, ამასთან აწუჯა ბერლინის დიომედიონის თეატრის შერობა.



## მუხანათური ნომერი

ილუზიონისტი პინეტი, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ძალიან ცუდი და ბოროტი კაცი იყო.

მან გადაწყვიტა გზიდან ჩამოეშორებინა მეორე მსახიობი, ედმონდ დე-გრინი, რომელმაც მთელ ვეროპაში გაითქვა სახელი და პინეტი დაჩრდილა.


ეს დე-გრინი წარმოშობით გრაფი იყო, ლუდვიგო XVI-ს ამაღის ერთ-ერთი დიდებულის შვილი. ახალგაზრდა გრაფი მედიცინის შესასწავლად ნეაპოლში ჩავიდა, მაგრამ აქ ისე გაიტაცა საცირკო ხელოვნებამ, რომ წარმოდგენების გამართვა დაიწყო.

პინეტის ამ დროს იქ იყო. მან დაინახა, რომ დე-გრინმა უკვე მოიხვეჭა დიდი სახელი და გადასწყვიტა დაეღუპა იგი.

ამ მიზნით პინეტი თვალთმაქცურად შეუამხანაგდა დე-გრინს, მიახმარა თავისი ასისტენტებიც. წარმოდგენის დროს ერთ-ერთმა ასისტენტმა, რომელიც მსურველებთან შორის იჯდა, ხმაშალა დაიწყო ყვირილი — დე-გრინმა თავისი მანიპულაციებისათვის ძვირფასი, ალმასის თვლიანი ბეჭედი მოხოვა და სანაცვლოდ რაღაც იაფფასიანი ბეჭედი დამიბრუნაო. დე-გრინი არ დაიბნა, დააწყინა ასისტენტი და დააპირდა, რომ წარმოდგენის შემდეგ ყველაფერს გამოარკვევდა. ამ აურზაურით ისარგებლა პინეტის მეორე ასისტენტმა და შეცვალა სათამაშო ბანქოს დასტა, რომელიც დე-გრინს მორიგი ფოკუსისთვის სჭირდებოდა. დე-გრინმა, ცხადია, ეს შეხანათური საქციელი ვერ შეამჩნია, აიღო ბანქოს ქაღალდის დასტა, მიუახლოვდა მეფე ფრიდრიხის ლოჯას და სთხოვა მეფეს რომელიმე ქაღალდი ამოეღო. მეფემ ამოაძრო ერთი ცალი, დახედა, აღმფთვებულმა უკან მიავიდა ქაღალდი მსახიობს და გაყარა ლოჯიდან. დე-გრინმა აიღო ქაღალდი და წაიკითხა: „მეფემ, შენ ხარ პირველი კრებიანი ვირი“.

დე-გრინი მაშინვე დააპატიმრეს და ციხეში დააწყვიდეს, ამასთან მთელი ქონება ჩამოართვეს.

1799 წელს საფრანგეთის ჯარებმა აიღეს სამხრეთ იტალია, დაამხეს მეფის ხელისუფლება და რესპუბლიკა გამოაცხადეს. ფრანგებმა დე-გრინი ციხიდან გაანთავისუფლეს. ამიერიდან ის არენაზე გამოდიოდა ტორინის ფსევდონიმით.



## აარდინალის საგვარაულო საათი

ტორინი ისე გაითქვა სახელი, რომ სულ მალე რომის პაპმა პიუს VII-ემ მოსურვა ენახა მისი წარმოდგენა. ილუზიონისტი ვატკანში მიიწვიეს. წარმოდგენას კარდინალების მთელი სინოდიტი ესწრებოდა. პრიორამა რომ დაიწყო, ტორინი მიუხსლოვდა პაპის გვერდით მჯდომარე ერთ გავლენიან კარდინალსა და სთხოვა — მცირე ხნით თქვენი საათი მათხოვეთო. კარდინალი უმეპოფილოდ შეიმშუშა.

ეს ქვირთვი ძვირფასი საათია, საგვარეულო რელიკვიაა. ფრთხილად მოეკაერთ — უთხრა კარდინალმა.

გამოართვა ტორინი საათი, გამოიტანა არენაზე და ვითომ შემთხვევით დაუგარდა მარმარილოს იატაკზე; „უპ, ეს რა დამემოხდაო“. — წამოიხანა და გაბრაზებულმა წიხლი დასცხო საათს. კარდინა-

ლი გაფითრდა, ყველამ სული განაბა. ტორინი კი ვითომ აქ არაფერი, მოატანინა ქვასანაყი, ჩააგლო ფილაში გატყუებული საათი და დაუწყო ნაყვა. საათი სულ ფხვნილად რომ იქცა, ეს ფხვნილი ყველას აჩვენა. იმავე წელს ქვასანაყი აფეთქების ხმა გაისმა — ილუზიონისტი შეჩერდა და დიდი რიხნი განაცხადა, რომ საათი გაშთვლდა და მისი უწმინდესობის — რომის პაპის ჯიბეში გადაფრინდა.

და მართლაც, გაოგნებულმა პაპმა ჯიბიდან ამოიღო საათი; კარდინალმა დაამოწმა, რომ ეს მისი საათი იყო და იგი სრულიად გამართულად მუშაობდა. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მეორე დღეს რომის პაპმა პიუს VII-ემ ტორინის სარეზიდენტო გაუგზავნა ბრილიანტის თვლებით მოთვლილი საათუთუნე — ნიშნად უმაღლესი მოწყალებისა და მფარველობისა.

როგორ მოაწყო ტორინი ეს ფოკუსი? წარმოდგენის წინა დღეს მან ერთ რომაელ მესაათესთან შეიარა. ილუზიონისტმა შემთხვევით მიაქცია ყურადღება პარიზელი გამოჩენილი ოსტატის ბრეგეს მიერ გაკეთებულ საათს, რომელიც, როგორც გამოირკვა, სწორედ იმ გავლენიან კარდინალს ეკუთვნოდა. „შეიძლება თუ არა, რომი ვიზოგო მეორე ასეთი საათი?“ — კითხა მან მესაათეს. „რომში არის მხოლოდ კიდევ ერთი ასეთი საათი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო რომელიმე ახალგაზრდა კაცმა!“ — მიუგო მესაათემ.

მეორე დღეს კარდინალმა ოსტატისაგან მიიღო თავისი შეკეთებული საათი; ამ საათის მეორე ასლი კი, რომელიც უზარმაზარი თანხა იქნა გადახდილი, ილუზიონისტ ტორინის ხელში აღმოჩნდა.

ახლა ყველაფერი უკვე ადვილი იყო.



## არც წაალი ახარჩობა, ვერც ვორაკილი აჩინება

ამერიკელი ილუზიონისტი პარი ქუდინი რეკლამის დიდი მოყვარული იყო. თავისი გასტროლების დაწყებამდე იგი უფასო წარმოდგენებს მართავდა ევროპის ქალაქებში. 1903 წელს, ლონდონში, მდინარე ტემზის ხედას და სანაპიროზე შეგროვოლი მსურველების თვალწინ იგი ხელმედაბოროკილი მოათავსეს ტომარაში; ტომარას პირი ამოუჭრეს და ილუზიონისტი თავდაყირა გადააგდეს წყალში.

ერთი წუთი არც კი იყო გასული, რომ წყლიდან თავი ამოჰყო ჰელინმა, რომელიც პარეში მხიარულად იქნებდა ხელებს. სასწაულებრივი სანახაობა იყო საპატიმროს დაკეტული საკინიდან მისი გამოსვლა. იგი მთლიანად გაშიშვლებულია, პატარის ტანსაცმლით შემოსილია, რბილ ფხვსაცმლებს ჩაიცვამდა და ისე მიდიოდა საკანში ჩასაკეტად; რამდენიმე წამის შემდეგ ცხრაკლიტულში ჩაქტილი პარი ჰუდინი საპატიმროს დერეფანში მოაბიჯებდა, საკანი კი წინანდობრად დაკეტული იყო.

ნიუ-იორკის სანოტარო კანტონის სეიფი ინახება სტელი დალუქული პაკეტი, რომელსაც გახსნიან 1974 წლის 6 აპრილს, პარი ჰუდინის დაბადების დღიდან ასი წლისთავე. მასში გახსნილია ილუზიონისტის ყველა საიდუმლოება.

თუმცა, ბევრი რამ მისი საიდუმლოებებიდან დღეს უკვე ცნობილია. მაგალითად, ციხიდან თავის დასაღწევად იგი იყენებდა ზუსტს მოწყობილობას. ბოქლოში შემხრეველად შეჩრილი წერილი მავთული შემდეგ შესაძლებლობას აძლევდა სწრაფად გაეღო იგი. სხვა მხრივ, ყველაფერი ილუზიონისტის ძალაა, მრავალწლიანი ივრთნის შედეგად მისი სახსრებისა და ივრთნის წარმოუდგენელ ელასტიურობასა და მოქნილობას უწყალებოდა.



კოსტანო ფულსა სპრის

ცნობილი ბერძენი ილუზიონისტი კოსტანო კასფიკისი პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩაუვარდა რუსეთის არმიას. ომის შემდეგ მან სამშობლოში წასვლა აღარ ისურვა. ნების პერიოდში იგი საბჭოთა მკურნალების წინაშე ილუზიური ნომრებით გამოდიოდა ცირკში.

სწორედ ნებაზეებისათვის იყო გაანგარიშებული მისი ერთი ნომერი, რომელსაც „ფულის ქარხანა“ ერქვა. მომცრო აპარატში, რომელსაც ორი პარალელურად მოძრავი ლილვები ჰქონდა, კოსტანო სდებდა ფულის კუპონების შომის ქაღალდის სუფთა ფურცლებს. მსახიობი გადაატრიალებდა აპარატის სახელურს და მკურნალების წინაშე შედიხდ ცვიოდა ჯერ კიდევ სველი, ახლად დაბეჭდილი ფული. თავისთავად გასაგებია, რომ ამ ნომრის შესასრულებლად კოსტანო აპარატში წინასწარ სპეციალურად სდებდა ნამდვილი ფულის რამდენიმე ნიმუშს.

დამსწრეები მოგვითხრობენ, რომ ორმა ნებაზემმა, რომლებიც რამდენჯერმე დაესწრნენ ამ წარმოდგენას, სერიოზულად გადაწყვიტეს ეყიდნათ „ფულის ქარხანა“; როცა ეს ამბავი გაიგო, კოსტანოს თვალზე კი არ დაუხამხამებია, იქვე ორი ათმანეთიანი დაბეჭდა და მუშტრებს გადასცა საჩუქრად. ნებაზემმა ფული სახელმწიფო ბანკის კასპერტს წარუდგინეს; როცა დარწმუნდნენ, რომ კუპონები ნამდვილი იყო, კოსტანო კასფიკის აუარებელი თანხა გადაუხადეს აპარატში. რა თქმა უნდა, მანქანამ ვერავითარი ფულის ბეჭდვა ვერ შესძლო.



სცენაზეა დიკ ჩიტაშვილი

მოსკოვი. კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზი. საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა. დღეუბატებმა ის იყო ხმა მისცეს და ვიდრე დამთვლელი კომისია შედეგებს გამოაქვეყნებდეს, თავისუფალ დროს, სტუმრად მოსულ მოსკოვის ცირკის მსახიობთა წარმოდგენას უცქერიან.

სცენაზეა მსახიობი დიკ ჩიტაშვილი (დავით იოსების-ძე ჩიტაშვილი). იგი ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და მკურნალებს შესამოწმებლად აწვდის. ცხვირსახოცი ისევ ჩიტაშვილს დაუბრუნეს; აიქნია ცხვირსახოცი ქაერში და წითელი ღვინით სავსე ბოთლი ჩამოიღო. ასისტენტმა ქალმა ბოთლი ლანგარზე დადგა და სცენის მოპირდაპირე მხარეს წაიღო. მსახიობმა ისევ აიქნია ცხვირსახოცი და იქიდან ახლა ბროლის ვეგმა ჭიქა გადმოვარდა.

ჩიტაშვილმა შორიდან თითოთ თავისკენ მოუხმო ბოთლს და ჭიქა წითელი ღვინით აივსო.

გადაჰკრა მსახიობმა ღვინო. საიდანღაც ერთი წყალწაღებული ლოთი გამოჩნდა, შეეხვეწა — მეც დამალვინებო. ლოთს ხელში ჭიქა ეჭირავ; იმავე ბოთლიდან დაუხსნა ჩიტაშვილმა, მაგრამ ჭიქა რძით აივსო, თვითონ დაისხა იმავე ბოთლიდან — წითელი ღვინო იყო. ლოთი კინაღამ გადაიჩრია და ჩიტაშვილს შეუტია, მან ქაერში აისროლა ბოთლი და ის გაჰქრა...

შემდეგ მსახიობმა ჯიბიდან „ყაზბეგის“ კოლოფი ამოიღო, მოუკიდა ერთ პაპიროსს, მოსწია ერთხელ და სცენაზე შორს გადაავლო, მერე — მეორე, მესამე და ა. შ. მთელი კოლოფი დაცარიელდა, შემდეგ, შორიდან თითოთ მოუხმო მიმოფანტულ პაპიროსებს და ისინი ყველანი ნელ-ნელა მიფრინდნენ მასთან; ჩიტაშვილმა ყველა ისევ კოლოფში ჩააწყო.

დიკ ჩიტაშვილი ხანგრძლივად მუშაობს თავისი ტექნიკის დახვეწაზე, გულმოდგინედ ეძებს ახალ იდეებს. დღეს იგი უკვე დახვეწილი ოსტატია. მკაფიო, ტუნწი ფესტები, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არავითარი სიჩქარე და ნერვიულობა. როდესაც გასაოცარ ტრიუკს აკეთებს, მას ისე უჭირავს თავი, თითქოს არაფერი მომხდაროდ და მხოლოდ თვლები უღიმის.

ამას წინათ დიკ ჩიტაშვილი ჩვენს წინაშე წარმოსდგა აგრეთვე როგორც დამდგმელი-რეჟისორი. მოსკოვის ოპერეტის თეატრის სპექტაკლში „ასი ეშმაკი და ერთი ქალიშვილი“, მან დადგა ილუზიური სცენა, რომელმაც მკურნალებლად დიდი მოწონება დაიმსახურა.



ქედმაღლობა

უიარაღს თავისმა მეზობლებმა ბრალდება წაუყენეს — ყვილაფერს ზემოდან უყურებო! ამის შემდეგ მან თავჩაქინდრული სიარული დაიწყო და მალე შინ შილისაგან მოკვდა.

ასე უპატიესი იქნება

ლომმა გამოიძახა მხეცკორი და უთხრა:

— ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მაგრამ რა ვქნა, მეტი გზა არა მაქვს. დათვმა გიჩივლა ჩემთან, მისი პერსონალური ბუნების ქვეშ შენ თურმე ჰაკუთარ სოროს თხრი. თუ ძმა ხარ, ახლავე დაწერე განცხადება და შენი ნებით წაღი ამ ტყიდან, ეს შენთვის უკეთესი იქნება.

ბრძნული რჩევა

ვარიამ მიმართა კვერცხებზე მჯდომ კრუსს:

— ნეტა რას ჩაღიხარ, რას უშნობ ტანს, ადგილი, იგ კვერცხები მიიტანე ინკუბატორში და იქ გამოაჩეცი!

მიხვედრილი კურდღელი

მთვრალი ბაჭია თავისი ძმის ქორწილიდან მოდიოდა და თან ტყეში მთელი ხმით გაჰკიოდა სიმღერას.

გზად შეხვედრილმა მგელმა ტურები მოილოკა მის დანახვაზე და მკაცრად ჰკითხა.

— რატომ არღვევ წერისგ საზოგადოებრივ ადგილას?

— აგერ, ჩემს ძმაცაცთან, ლომთან ვიყავი ვახშმად დაპატიებულში, ცოტა ზედმეტი გადავკარიო — იცრუა შეშინებულმა ბაჭიამ.

— კარგი, კარგი, წაღი, გაუყვიე შენს გზას, — ჩაიბუტბუტა მგელმა და ნადვლიანად გააულოა თვალი გაქცეულ ბაჭიას.

პ. მოჩალოვი

ქ. არზამასი.

გ ა რ ე კ ა ნ ის პ ი რ ვ ე ლ გ ვ ი რ დ ზ ე: ღვინის დღეები სკოლაში. ფოტო თარხან არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: დიდმის მოტოტელი. ფოტო ელუარდ პეხოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ი. გვიგინიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი,

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-63, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/III-67 წ. გამოც. № 74, ქალ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.

პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 38.200. შეკვ. № 1196, უფ 01977

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ღვინის ქ. №14.





მანანა.



ფოტო ოთარ თურქიასი.

ИНДЕКС 76056

